გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

ვერსია

№26 (1716) 21 — 27 აგვისტო ოთხშაბათი 2024 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

როგორ გახდა ხეიბარი ქართველი დარაჯი დაქირავებული მკვლელი

გრიფით „საიდუმლო" საქმე, რომელზეც მთელი საბჭოთა კავშირის მილიცია ლაპარაკობდა

რატომ დაემუქრა ნოდარ მელაძე თაკო ჩარკვიანს

რა ხდება ოპოზიციაში და ვის ეძახის „კოლექტიურ საზიზღრობას" თამარ ჩარკვიანი

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

როგორ აბამენ უცხოეთში მყოფი „კანონიერი ქურდები" მოზარდებს მახეში

ნარკოეპიდემია საქართველოში – შემაშფოთებელი სტატისტიკა

რა ქონებას ფლობენ ახლების ლიდერები

ორი ნიკას – გვარამიას და მელიას ქონებრივი დეკლარაციები

ქვემო ქართლის პოლიციამ ჯგუფურად ჩადენილი გამოძალვის, გამოძალვაში დახმარებისა და სხვისი ნივთის დაზიანების ბრალდებით 2 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, კომპლექსური ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2002 წელს დაბადებული ზ.ი. და ამავე წელს დაბადებული რ.ბ., დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით, ჯგუფურად ჩადენილი გამოძალვის, გამოძალვაში დახმარების, ასევე, სხვისი ნივთის ჯგუფურად დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაულები 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები, სხვადასხვა დროს, საზღვარგარეთ მცხოვრები კრიმინალური ავტორიტეტის დავალებით, მოქალაქეებს დაუკავშირდნენ და მათ სიცოცხლის მოსპობის, ასევე, ქონების განადგურების მუქარით, დიდი ოდენობით თანხები მოსთხოვეს, ხოლო უარის მიღების შემდეგ, მოქალაქეებს სხვადასხვა სახის ქონება დაუზიანეს.

ინტენსიურ რეჟიმში ჩატარებული გამოძიებით, მათ შორის, მოსამართლის განჩინების საფუძველზე განხორციელებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამართალდამცველებმა ზ.ი. და რ.ბ. ბრალდებულების სახით დააკავეს.

სამართალდამცველებმა ნივთმტკიცებად ამოიღეს მობილური ტელეფონები და სიმ-ბარათები, რომელთა საშუალებითაც ბრალდებულები მოქალაქეებს თანხის გამოძალვის მიზნით უკავშირდებოდნენ.

მომხდარ ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე, 25 – 181-ე და 187-ე მუხლებით მიმდინარეობს.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა ახალი თანამედროვე სწრაფმავალი სამაშველო კატარღები შეიძინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა, საძიებო-სამაშველო ოპერაციების ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, კიდევ ექვსი ახალი სწრაფმავალი სამაშველო კატარღა შეიძინა.

ქალაქ ბათუმში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა თემურ მღებრიშვილმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარ თორნიკე რიჟვაძესა და ქალაქ ბათუმის მერს არჩილ ჩიქოვანს ახალი კატარღები დაათვალიერებინა და ტექნიკური შესაძლებლობები გააცნო.

თანამედროვე კატარღები შავი ზღვის სანაპირო ზოლზე გადანაწილდება და ეფექტურია, როგორც ზღვაში, ასევე, მდინარეში, სამაშველო-საძიებო მოქმედებების დროს. კატარღები აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით. მასზე დამონტაჟებულია წყლის ფსკერის სკანირების საშუალებები.

პოლიციამ თბილისში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ოთხი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში მომხდარ მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით, განზრახ მკვლელობის, ცრუ ინფორმაციის მიწოდებისა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის, ოთხი პირი დააკავეს.

განზრახ მკვლელობის ბრალდებით დაკავებულია 1998 წელს დაბადებული ლ.ქ., ცრუ ინფორმაციის მიწოდებისთვის დაკავებულები არიან – 1989 წელს დაბადებული ო.ბ. და 2005 წელს დაბადებული ნ.ფ., ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის დაკავებულია 2002 წელს დაბადებული ჯ.ფ.

დანაშაულები 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 12 აგვისტოს, ბრალდებულმა ლ.ქ.-მ, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე თბილისში, სოფელ დიღომში, ცივი იარაღით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა ახლობელს, 1987 წელს დაბადებულ გ.ქ.-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიყენებული დაზიანებების შედეგად, გ.ქ. საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განზრახ მკვლელობაში ბრალდებული ლ.ქ. კახეთში დააკავეს.

გამოძიებით, ასევე, დადგინდა, რომ დაჭრის ფაქტს შეესწრნენ ბრალდებულისა და მოკლულის საერთო მეგობრები – ო.ბ. და ნ.ფ., რომლებმაც მომხდარი მკვლელობის საქმის გამოძიების პროცესში, მოწმის სახით გამოკითხვის დროს, მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლის მიზნით, სამართალდამცველებს ცრუ ინფორმაცია მიაწოდეს. ასევე, დადგინდა, რომ აღნიშნული დანაშაულის შესახებ ცნობილი იყო ბრალდებული ჯ.ფ.-სთვის, თუმცა მან სამართალდამცავ ორგანოებს დანაშაულის თაობაზე არ შეატყობინა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 370-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 376-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

რატომ დაემუქრა ნოდარ მელაძე თაკო ჩარკვიანს

რა ხდება ოპოზიციაში და ვის ეძახის „კოლექტიურ საზიზღრობას“ თამარ ჩარკვიანი

ნინო დოლიძე

ოპოზიციურ ფლანგზე ისევ გაუგებრობაა ანუ მართალია, ვიღაც-ვიღაცები წყვილდებიან, მაგრამ როგორც სანდო წყაროები იუწყებიან, ოპობელადები, თურმე, ერთმანეთზე არიან გაბრაზებულები. რატომ? – ამის თქმა დანამდვილებით ძნელია, თუმცა უკმაყოფილების ერთ-ერთი მიზეზი, თურმე, ის არის, რომ ვიღაცას პარტიულ სიაში არ „სვამენ“. აი, მაგალითად, ხმა დადის, რომ ენმ-მ ე.წ. გამსვლელ სიაში ჩაწერაზე გია ბარამიძეს უარი უთხრა. ამასთან, „ვერსიას“ ეუბნებიან, რომ მას შემდეგ, რაც ენმ-ვაშაძის საარჩევნო გაერთიანებას ევროპული საქართველო შეუერთდა, ყოფილ მმართველ გუნდში უკმაყოფილებამ იჩინა თავი და შესაძლოა, ისეც მოხდეს, რომ მიშას პარტია რამდენიმე ცნობადმა სახემ დატოვოს.

სიების გამო დაპირისპირება გასაგებია, მაგრამ ოპოზიციურ ფლანგზე, როგორც ჩანს, ტელემედიის გამოც მიდის „ბათქი“. ყოველ შემთხვევაში, ხელისუფლების მოწინააღმდეგეები უკვე ხმამაღლა ამბობენ, რომ ე.წ. კრიტიკული მედია ძალიან სუბიექტურია ანუ ამ კონტექსტში საუბარი იმაზეა, რომ მაგალითად, „ტვ პირველი“ მამუკა ხაზარაძისა და მისი გუნდის „გაპიარებით“ არის დაკავებული, „მთავარი“ – ორი ნიკას ახალით, „ფორმულა“ კი – ნაციონალური მოძრაობით.

ამაში, ერთი შეხედვით, ცუდი არაფერია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ე.წ. მედიების საბაბით დაწყებული უკმაყოფილება უკვე საჯარო გახდა.

ასე, მაგალითად, დამოუკიდებელმა დეპუტატმა, პარტია კანონი და სამართლის ლიდერმა თაკო ჩარკვიანმა სოციალურ ქსელში სიტყვა-სიტყვით დაწერა:

„მირეკავს ნოდარ მელაძე, ნაწყენი (მუქარით და სრული ისტერიით), ჩემი სტატუსის გამო, რომ „ტვ პირველის“ ეთერი არაობიექტურად მივიჩნიე და ვთქვი, რომ ტვ „პირველი“ ხაზარაძის გავლენის ქვეშ მოექცა (ვფიქრობ, ეს აზრი ბევრისგან მოგისმენიათ) და ამას უკვე ბევრი აღნიშნავს და მევახშე ხაზარაძის სახელს აიკიდებენ ორმაგი სტადარტით-თქო, ფინალი საუბრის ასეთი იყო, ისტერიულად ყვიროდა, – „აი, ნახავ, რასაც ვიზამ, მე შენზე სიუჟეტს გავაკეთებ, ნაცმოძრაობასთან როგორ ვაჭრობო, შავ სიაში შეგიყვანო (კიდევ კარგი, მთელი გუნდი გვისმენდა ოფისში)“. ანუ, შენიშვნა რომ არ მიმეცა, მაშინ, სიუჟეტს არ მომიძღვნიდა და „კარგი გოგო“ ვიქნებოდი ანუ რამე ინფორმაციას მალავდა, იცოდა და მალავდა, გაბრაზდა და აღარ მალავს???

გაოგნებული ვუსმენდი ამ – მისი პირიდან ამოსულ სიბინძურეს, სიტყვა „ვაჭრობა“, როგორც ჩანს, მევახშე ხაზარაძისგან გაიგო და ისწავლა. სამწუხაროა, რა ვიცი, გამიკვირდა, არ ველოდი (ან რა მაქვს სავაჭრო, რატომ და რისთვის უნდა „ვვაჭრობდე???“ ოჰ, ეს სიტყვა „ვაჭრობა“ ხომ არ მოსცილდა ქართულ პოლიტიკას?!)

არადა, მართლა რომ იცოდეს „სამზარეულო“ ნოდარ მელაძემ, ამ სიბილწეს და სისულელეს ხომ არ მაკადრებდა არც მე და არც საკუთარ თავს აკადრებდა.

ჰოდა, აი, ამის შემდეგ, რა ჟურნალისტიკაზეა საუბარი, ან რა ობიექტურობაზე, ან, ან...

რა დღეშია ეს ქვეყანა, ან რა მომავალი ელის???

წინ წყალი, უკან – მეწყერი...

აი, ასეა, რა.

ხალხნო! ოპო არხის ჟურნალისტი დამემუქრა ჩემს სტატუსში გამოთქმული აზრის გამო, წარმოიდგინეთ, რა უბედურებაშია ქვეყანა?!

წარმოიდგინეთ, ერთი წუთით, ხაზარაძე სათავეში რომ მოვიდეს?!

რით განსხვავდება ივანიშვილისგან (ვეთანხმები ამ გამონათქვამში შალვა ნათელაშვილს) არაფრით, სრულიად არაფრით!

ჩემს ბავშვობაში, ასეთი ფილმი იყო: „ჩემი მეგობარი ნოდარი“.

ვისი მეგობარი ხარ, ნოდარ, შენ?!

სამწუხაროა...

P.S. **კაცო , ესენი (ზოგიერთი) ისე მესაუბრებიან, თითქოს, ყოფილი ხელისუფლების დროს, სიტყვა მაინც ეთქვათ, ან შენიშვნა მაინც მიეცათ იმ 9 წლის მანძილზე ხელისუფლებისთვის, ახლა რომ იხსენებენ იმ „ცხრა წელს“, ან რა უნდა დაწეროთ თამარ ჩარკვიანზე, რაც „ოცნების“ ტროლ-ბოტებს არ უკადრებიათ ჩემზე, 2016 წლიდან?!**

რა საშინელებაა, ასეთი – ადამიანური თვისებების მოულოდნელი ლუსტრაცია, თითქოს, უნდა მიეჩვიოო და არა, ღმერთმანი, ვერ ვეჩვევი – მაინც გულისწყვეტა მოაქვს!

ამასაც მოვესწარით, სტატუსის გამო – ფრიად ფრთხილად ნათქვამი შენიშვნის გამო, ჟურნალისტი რეკავს და ემუქრება რესპონდენტს – მაყურებელს – პოლიტიკოსს...

„იცოდე, შენზე სიუჟეტს გავაკეთებ და შავ სიაში იქნებიო“ ანუ თუ შენიშვნას არ მივცემდი და გავჩუმდებოდი, არ გააკეთებდა?! ერიჰაააა“...

* * *

ისე, ხაზარაძესა თუ ენმ-ს თამარ ჩერგოლეიშვილიც ღიად აკრიტიკებს. აი, მას შემდეგ, რაც გიგი წერეთელი და კაკო ბობოხიძე ყოფილ მმართველ გუნდს შეუერთდნენ, ჩერგომ სოცქსელში დაწერა:

„ქართველი ხალხი ამ პოსტსაბჭოთა, ყალბ, „პადხალიმ“ უღირსობას არ იმსახურებს.

აი, ამ კოლექტიური საზიზღრობის დამსახურებაა, 13 წელი რომ ივანიშვილის რეჟიმი დაბოგინებს (და კიდევ იბოგინებს).

ამ უნიჭო, იმპოტენტი, დისფუნქციური, გაუნათლებელი, სამარცხვინო და პატივმოყვარე არარაობების“.

* * *

მოკლედ და ლაკონურად, ვერ გაიგებ, ოპოზიცია 26 ოქტომბრის არჩევნებზე გამარჯვებისთვის იბრძვის თუ იმის დასამტკიცებლად, რომელია მთავარი ოპოზიციური ძალა...

ისტორია ბიჭისა, რომელზეც მთელი ქვეყანა ლაპარაკობდა

ივანო პავლიაშვილი

1959 წლის 19 აგვისტო... ფერისცვალება... ბიჭის დაბადება ჭანტურიების ოჯახის ნათესავებისა და მეზობლების მეტს არავის გაუგია, თუმცა მოვა დრო და ამ ბიჭზე მთელი ქვეყანა ილაპარაკებს.

გია ჭანტურიას ცხოვრება დაბადებიდან მკვლელობამდე

მანამდე?

მანამდე კი... ბავშვის ჩვეულებრივი ცხოვრება – სწავლა, თამაში, გართობა... განსაკურებით დათოსთან მეგობრობს, ჭეიშვილთან. მათი მშობლებიც მეგობრები არიან... ბიჭების საყვარელი თამაში „ომობანაა“ – წყალ-ქევშა ჯარისკაცებს „აკეთებენ“, ერთმენეთის პირისპირ აწყობენ და „ხოცავენ“...

წარჩინებული და ჭკიანი მოწაფე ყოფილა, მაგრამ უმაღლეს სასწავლებელში სკოლის დამთავრების პირველსავე წელს ვერ ჩაუბარებია და აი, რატომ: ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაზე, თავისუფალი თემა – „ვინ მინდა გამოვიდე“ შეხვედრია. დაუწერია, არქეოლოგობა მინდაო. ნაშრომში შლიმანიც მოუხსენიებია, „ტროას ცხენის“ აღმომჩენი. თავიდან „ორიანი“ დაუწერიათ, მერე, რომ გაუპროტესტებია, „ოთხიანად“ გადაუკეთებიათ, აქაოდა, ფაქტობრივი შეცდომები გაქვსო. ისე, გამომცდელებს უთქვამთ, უმაღლესი შეფასება რომ დაგიწეროთ, სამსახურიდან დაგვითხოვენო. შეიძლება, მართლა ასე მომხდარიყო, რადგან იმ დროს გია ჭანტურია უკვე ეროვნული მოძრაობის წევრი გახლდათ. მეორე კურსზე რომ გადავიდა, დაპატიმრეს. დათო ჭეიშვილიც დაიჭირეს, მაშინ დათო პირველ კურსზე იყო...

მას შემდეგ, წითელ იდეოლოგებს ბიჭებისთვის თვალი არ მოუცილებიათ... მეტიც, გიას მეგობრებს დღემდე სჯერათ, რომ ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი, ყველაზე გამოკვეთილი ლიდერი, სწორედ წითელი ინტერვენციის მსხვერპლი გახდა.

მართალია, გია ჭანტურიას მკვლელობისთვის, თავის დროზე, რამდენიმე ადამიანი გაასამართლეს, მაგრამ საზოგადოებაში დღემდე არსებობს ეჭვი, რომ ისინი ნამდვილი დამნაშავეები არ იყვნენ, უფრო სწორად, შემსრულებლები დაისაჯნენ, მკვლელობის შემკვეთები – არა.

და მაინც, რა მოხდა 1994 წლის 3 დეკემბერს, ხილიანზე? იყო თუ არა გია ჭანტურიასთვის 1991-92 წლების მოვლენების ანუ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების

დამხობის შემდეგ, საქართველოში დაბრუნებულ ედუარდ შევარდნაძის გვერდით დადგომა საბედისწერო შეცდომა? ჭანტურიას მკვლელობის საქმეში მხოლოდ ეს კი არა, სხვა, მეტ-ნაკლებად უპასუხო კითხვებიც არსებობს...

ყველა, ვინც გია ჭანტურიას პირადად იცნობდა, ამბობს, რომ ედპ-ს 35 წლის ასაკში მოკლული ლიდერი დასავლური ყაიდის პოლიტიკოსი იყო, პოლიტიკაში „ბინძურ თამაშებს“ ეწინააღმდეგებოდა და პირდაპირობას არჩევდა. ეს შეფასება, შესაძლოა, გადაჭარბებულია, მაგრამ გია ჭანტურია რომ ქართულ პოლიტიკაში თავისი თამაშის წესების დამკვიდრებას ცდილობდა, ამას რამდენიმე ისტორიაც მოწმობს:

მეოცე საუკუნის 80-იანი წლების მიჯნაზე ანუ მას შემდეგ, როცა საბჭოთა სპეცსამსახურებმა „ცისფერ ეკრანებზე“ ზვიად გამსახურდიას ე.წ. მონანიება გაავრცელეს, ედპ-ს ჯგუფი, რომელიც იმხანად მხოლოდ ახალგაზრდების იატაკქვეშა, ასე ვთქვათ, კლუბი იყო, ნუცუბიძის ქუჩაზე, ლიზიკო ქავთარაძის სახლში შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს, რომ ზვიად გამსახურდიასთან ურთიერთობა გაეწყვიტათ. სხვათა შორის, ძველი „ედეპელები“ ლიზიკო ქავთარაძეს დღემდე თავიანთ პედაგოგად თვლიან... ამ გადაწყვეტილების მიუხედავად, 80-იან წლებში ანუ მაშინ, როცა ეროვნულმა მოძრაობამ პიკს მიაღწია და ზვიად გამსახურდია, პრინციპში, უპირობო ლიდერი გახდა, გია ჭანტურია მას შეურიგდა. ჭანტურიას ზოგიერთი მეგობარი, მათ შორის, დათო ჭეიშვილიც მიიჩნევს, რომ ეს შეცდომა იყო, თუმცა პოლიტიკას თავისი წესები აქვს. ეს, როგორც ჩანს, ჭანტურიამაც კარგად იცოდა და ხვდებოდა, რომ ზვიად გამსახურდიასთან დაპირისპირების გამო, ხალხი ზურგს შეაქცევდა. საბოლოოდ, ჭანტურიასა და გამსახურდიას გზები მაინც გაიაყარა. მეტიც, 1991 წელს, როცა თბილისის ომისა და გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის კონტურები უკვე გამოკვეთილი იყო, თბილისის აეროპორტში, იმჟამინდელი ხელისუფლების ბრძანებით, თვითმფრინავი, რომელიც მოსკოვში მიფრინავდა, „ჰაერიდან მოხსნეს“. თვითმფრინავში გია ჭანტურია და მისი მეუღლე, ირინა სარიშვილი ისხდნენ. იმხანად ითქვა, რომ ისინი საბჭოთა კავშირის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრთან, ედუარდ შევარდნაძესთან შესახვედრად მიდიოდნენ, თუმცა დათო ჭეიშვილი ამ ინფორმაციას არ ადასტურებს:

„მაშინ ყველა თვითმფრინავი ევროპაში მოსკოვის გავლით მიფრინავდა, თან გიას გარდა, თვითმფრინავში 150 კაცი იჯდა, მათ შორის, გოგა ხაინდრავაც. დანამდვილებით ვიცი, რომ გია შევარდნაძეს არ უნდა შეხვედროდა!“

კარგი, დავუშვათ, რომ ჭანტურია იმხანად მართლა არ აპირებდა შევარდნაძესთან შეხვედრას, მაგრამ მათი გზები მაინც გადაიკვეთა, თან ისე, რომ გია ჭანტურიას მკვლელობასთან ექსპრეზიდენტს, პირდაპირ თუ ირიბად, აკავშირებენ. ყოველ შემთხვევაში, ჭანტურიას დაკრძალვაზე მისულ შევარდნაძეს ედპ-ს აქტივისტებმა სიტყვა არ მისცეს და მას მკვლელობის თანამონაწილე უწოდეს. ამ ბრალდებამდე კი მოვლენები ასე ვითარდებოდა:

1992 წლის 7 მარტს, საქართველოში დაბრუნებულმა ედუარდ შევარდნაძემ კარგად იცის, რომ ჯაბა იოსელიანის „მხედრიონითა“ და თენგიზ კიტოვანის გვარდიით თავისი პოლიტიკური კარიერა, შესაძლოა, სერიოზული საფრთხის ქვეშ დააყენოს ანუ მას პოლიტიკური დასაყრდენი სჭირდება, რითაც ცივილიზებულ დასავლეთს თვალს აუხვევს და დაუმტკიცებს, რომ „კანონიერ ქურდად“ მონათლული ჯაბა იოსელიანი ზვიადისტების დასაშოშმინებლად სჭირდება, თორემ მისი საყრდენი, სინამდვილეში, დასავლური ორიენტაციის ძალაა. იმჟამინდელი პოლიტიკური სპექტრი ასეთი და, საერთოდ, პოლიტიკური ძალების სერიოზულ დეფიციტს განიცდიდა და ამ ფონზე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, უფრო ზუსტად, გია ჭანტურია, შევარდნაძეს შეუმჩნეველი არ დარჩენია.

ვინ ითავა გია ჭანტურიასა და ედუარდ შევარდნაძეს შორის შუამავლის ფუნქცია? ეს გარდაცვლილი პოლიტიკოსის უახლოესმა მეგობრებმაც არ იციან, თუმცა აღიარებენ, როცა გიამ გვითხრა, შევარდნაძესთან გარკვეულ ურთიერთობას ვიწყებთო, გაგვიკვირდა.

დათო ჭეიშვილი, გია ჭანტურიას მეგობარი: „გია პოლიტიკოსი იყო და ლავირება შეეძლო. მაგალითად, მონანიების შემდეგ, სპეცსამსახურებმა ისეთი სიტუაცია შექმნეს, რომ გამსაუხრდია ციხიდან გმირის სტატუსით დაბრუნდა და გია მიხვდა, რომ მასთან ბრძოლა თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა.

– ანუ, ედუარდ შევარდნაძის გვერდითაც იმიტომ დადგა, რომ „პოლიტიკური თვითმკვლელობა“ არ უნდოდა?

– შევარდნაძე გიას იყენებდა.

– რაში?

– შევარდნაძე ცდილობდა, რომ გია, როგორც ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ეროვნულობის თვალსაზრისით გამოეყენებინა და ეს მოახერხა კიდეც“.

ისტორია ბიჭისა, რომელზეც მთელი ქვეყანა ლაპარაკობდა

აი, ასე: შეიძლება, ითქვას, რომ ჭანტურიასა და შევარდნაძის ურთიერთობა, თავდაპირველად, ურთიერთგამოყენებაზე იყო აწყობილი ანუ თუ შევარდნაძე ჭანტურიას ე.წ. ეროვნულ პოტენციალს იყენებდა, ჭანტურია, თავის მხრივ, ცდილობდა, შევარდნაძესთან ურთიერთობით, სახელმწიფო გადაწყვეტილებებზე გარკვეული პოლიტიკური გავლენა მოეხდინა. ალბათ, სწორედ ამიტომ დასთანხმდა, რომ ირინა სარიშვილი პრემიერ-მინისტრი გამხდარიყო. შევარდნაძის მთავრობაში ედპ-ს კიდევ ორი წევრი იყო – მიხეილ ჯიბუტი და ბესო ჯუღელი. ირაკლი ქადაგიშვილი კი საბაჟოს ხელმძღვანელობდა.

დათო ჭეიშვილი: „გიამ ეს გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ როგორც პოლიტიკოსი, მოვლენებს ვერ მიუშვებდა. შევარდნაძესთან ურთიერთობით. გიამ გარისკა!“

გია ჭანტურიას ეს გარისკვა სიცოცხლის ფასად დაუჯდა...

ედუარდ შევარდნაძისა და ედპ-ს ლიდერის ურთიერთობა, შეიძლება, ეტაპობრივად იძაბებოდა, მაგრამ დაპირისპირებამ კულმინაციას მაშინ მიაღწია, როცა შევარდნაძემ საქართველოს დსთ-ში შესვლის გადაწყვეტილება მიიღო. ედპ-ს სიით გასულმა დეპუტატებმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს და პროტესტის ნიშნად, სხდომა დატოვეს. მეტიც, გია ჭანტურიას გადაწყვეტილებით, ედპ-ს ყველა წევრმა მთავრობა დატოვა. ეს დემარში ედუარდ შევარდნაძისთვის, როგორც ჩანს, შოკისმომგვრელი იყო. ყოველ შემთხვევაში, უთქვამს, ასეთი დისციპლინა, როგორიც ედპ-შია, კომუნისტებსაც არ ჰქონიათო...

ცდილობდა თუ არა გია ჭანტურია, ედუარდ შევარდნაძესთან ურთიერთობით, ხელისუფლებაში მოსვლას? ყველა პოლიტიკოსის მიზანი, ცხადია, ხელისუფლებაში მოსვლაა. ეს მიზანი, ბუნებრივია, გია ჭანტურიასაც ექნებოდა, მით უმეტეს, დასავლეთი მასზე გარკვეულ „სტავკას“ აკეთებდა:

1990 წელს, პრაღაში, ვაცლავ ჰაველის ინიციატივით, ყოფილი საბჭოთა ქვეყნების დისიდენტთა შეკრება ტარდება, რომელსაც საქართველოდან გია ჭანტურია, ედუარდ და თენგიზ გუდავები და დათო ჭეიშვილი ესწრებიან.

პრაღის შემდეგ, გია ჭანტურია და ედპ-ს დელეგაცია ბრიუსელში ჩადის და შეხვედრებს ნატო-ში მართავს. ნატო-ს შტაბ-ბინაში, ეს ქართველების პირველი ვიზიტია...

დათო ჭეიშვილი: „ნატო-ში მიწვევით, გიამ საქართველოს ევროპისკენ პირველი ფანჯარა გახსნა. მას უყურებდნენ, როგორც დასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსს“.

იმხანად, ედპ, ევროპის ქრისტიან-დემოკრატიული ინტერნაციონალის წევრი გახდა. ეს ორგანიზაცია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინამორბედად ითვლება...

საქართველოში დაბრუნებული ედუარდ შევარდნაძეც ევროპულ ფასეულობებს მხარს ღიად უჭერდა ანუ ამ ფონზე, ძნელი სათქმელია, რომ გია ჭანტურიას ლიკვიდაცია სახელისუფლებო ელიტის ინტერესებში შედიოდა, თუმცა დათო ჭეიშვილმა, გია ჭანტურიას მკვლელობიდან 14 წლის შემდეგ, განაცხადა:

„გიას სიკვდილი სახელისუფლებო ელიტის იმ ნაწილის ინტერესში შედიოდა, რომლისთვისაც დასავლური ღირებულებები მიუღებელი იყო!“

ჭეიშვილის თქმითვე, სახელისუფლებო ელიტის ამ ნაწილისა და კრემლის ინტერესები ერთმანეთს რომ არ დამთხვეოდა, დღის წესრიგში ჭანტურიას ლიკვიდაცია, შესაძლოა, არ დამდგარიყო.

კიდევ ერთი, საინტერესო დეტალი: სწორედ მაშინ, როცა გია ჭანტურია ედუარდ შევარდნაძეს გაემიჯნა და საჯაროდ, ქვეყნის ღალატში დაადანაშაულა, პოლიტიკურ არენაზე უკვე გამოსული იყო „მწვანეთა პარტიის“ იმჟამინდელი ლიდერი, ზურაბ ჟვანია, რომელზეც 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში, შევარდნაძემ ფსონი დადო. ჭანტურიას მსგავსად, ჟვანიაც მკვეთრად დასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსი იყო და, ჭანტურიას მსგავსად, მანაც სიცოცხლე და კარიერა ფატალურად დაასრულა, თუმცა ეს სხვა საუბრის თემაა...

მკვლელობის მიზეზი – პირადი ანგარიშსწორება?

ამ ვერსიას არსებობის უფლება, რასაკვირველია, აქვს და აი, რატომ: გია ჭანტურია საჯაროდ მოღალატეს მხოლოდ ედუარდ შევარდნაძეს კი არა, ჯაბა იოსელიანსა და თენგიზ კიტოვანსაც ეძახდა ანუ თუ გავითვალისწინებთ, რომ იმხანად საქართველოში, სრული განუკითხაობა იყო, რატომ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ჭანტურიას ლიკვიდაციას საფუძვლად, სწორედ პირადი ანგარიშსწორება დაედო. თუმცა, დათო ჭეიშვილი ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ ედპ-ს ლიდერის მკვლელობა, პოსტსაბჭოთა საქართველოში, პირველი პოლიტიკური მკვლელობა იყო.

გია ჭანტურია 1994 წლის 3 დეკემბერს, ედპ-ს ყრილობის მესამე დღეს მოკლეს. იმხანად ითქვა, რომ ყრილობაზე, ჭანტურია „რაღაცის“ თქმას აპირებდა. რა იყო ეს „რაღაც“, არავინ იცის... ისე, თუ ჭანტურიამ „რაღაც ისეთი“ იცოდა, მაგალითად, ის, თუ ვინ და რით აიძულა ედუარდ შევარდნაძე, საქართველო დსთ-ში შეეყვანა, მის გასაჩუმებლად მაინცდამაინც სიკვდილი იყო საჭირო? „გაჩუმების“ სხვა მეთოდებიც არსებობს, მაგალითად, ციხე.

დათო ჭეიშვილი: „გიას ვერ დაიჭერდნენ, ან როგორ უნდა დაეჭირათ? უსუფთავესი პიროვნება იყო...

– კი, მაგრამ ამბობენ, პოლიტიკა ბინძურიაო...

– „პოლიტიკა ბინძური არ არის, პოლიტიკა ბინძური მაშინ ხდება, როცა მას ბინძური ხალხი აკეთებს“, – ამ ფრაზას გია ხშირად ამბობდა“.

ასე იყო თუ ისე, გია ჭანტურია ბინძური პოლიტიკის მსხვერპლი გახდა და ამას მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე განვითარებული მოვლენებიც ადასტურებს.

საინტერესო დეტალი: იმჟამინდელი ორი ძალოვანი მინისტრი, როგორც დრომ აჩვენა, კრემლის კადრი იყო – შოთა კვირაია, რომელსაც შს და უშიშროების მინისტრის პოსტები ეკავა, საქართველოს ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ, დსთ-ს ქვეყნების უშიშროების საბჭოს მდივნად დაინიშნა. იგორ გიორგაძე კი დღემდე საქართველოს წინააღმდეგ კრემლის მთავარი კოზირია.

ამ ფონზე, შეიძლება ითქვას, რომ გია ჭანტურია რუსული ინტერვენციის მსხვერპლი გახდა...

მოკლედ, მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე, შს იმჟამინდელი მინისტრი კვირაია, გია ჭანტურიას ატყობინებს, რომ ედპ-ს ოფისში მოსასმენი აპარატურაა დამონტაჟებული. ასევე, კეთდება მინიშნება, რომ „ჟუჩოკი“ იგორ გიორგაძემ დაამონტაჟა. ჭანტურია საგანგებო ბრიფინგს იწვევს და ჟურნალისტებს უცხადებს, რომ მისი ლიკვიდაცია იგეგმება. ასეთი განცხადებები, როგორც წესი, ლიკვიდაციის პრევენციაა, მაგრამ ჭანტურიას მაინც კლავენ...

მკვლელობამდე ორი-სამი დღით ადრე, ედუარდ შევარდნაძე ჭანტურიას ხვდება და ეუბნება, თურქმენეთში მივდივარ და იქიდან რომ დავბრუნდები, ქვეყანა შენ უნდა გადმოგაბაროო. თურქმენეთიდან დაბრუნებულ შევარდნაძეს ჭანტურია მოკლული ხვდება...

კიდევ ერთი, საინტერესო დეტალი: მოსალოდნელი ლიკვიდაციის შესახებ განცხადების გაკეთების პარალელურად, ედპ ითხოვს, რომ ჭანტურიას სახელმწიფო დაცვა დაენიშნოს, მაგრამ მოთხოვნა არ კმაყოფილდება. მოტივი – ლიკვიდაციაზე ლაპარაკი გაზვიადებულიაო...

ვინ და რა სარგებელი მიიღო ჭანტურიას მკვლელობით?

დათო ჭეიშვილი: „საერთოდ, მკვლელობით რამის მიღება არ შეიძლება, მაგრამ გიას მოკვლით იმას მიაღწიეს, რომ კარგა ხნით გადაიდო საქართველოს ინტეგრაცია ევროპაში. ჭანტურიას მოკვლა საქართველოს დასავლეთთან ინტეგრაციის 15-წლიან პაუზად, ტერიტორიების დაკარგვად და დღევანდელ მოვლენებად დაუჯდა“.

ერთი სიტყვით, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი და დასავლური ღირებულებების პოლიტიკოსი, გია ჭანტურია რუსული ინტერვენციის მსხვერპლი გახდა.

რუსული ინტერვენცია დღესაც გრძელდება...

სხვათა შორის, სიმბოლურია, რომ გია ჭანტურიას მკვლელობიდან ზუსტად 14 წლის შემდეგ, საქართველომ დსთ დატოვა...

ცნობისთვის: გია ჭანტურიას, როგორც გამოძიებით დადგინდა, რამდენიმე სნაიპერი ესროდა. 300 ტყვიიდან ჭანტურიას, მინიმუმ, 150 მოხვდა. ძაფებად ქცეულ ტანსაცმელს გიას დედა, ქალბატონი ლილი მარჯანიშვილი გარდაცვალებამდე ინახავდა...

P.S. ეს წერილი 16 წლის წინ დავწერე. მას მერე, ბევრი რა მოხდა – დათო ჭეიშვილიც გარდაიცვალა... თუმცა, დღემდე პასუხგაუცემელია კითხვა – ვინ და რატომ მოკლა გია ჭანტურია?

რა ქონებას ფლობენ ახლების ლიდერები

მაკა რუხაძე

„ახალი“, მაგრამ სინამდვილეში, კარგად დავიწყებული ძველი და მათი კოალიცა „ცვლილებისთვის“. მას შემდეგ, რაც „ნაცმო“ დატოვეს, ნიკა გვარამიამ და ნიკა მელიამ ახალი პარტია „ახალი“ დააფუძნეს, მერე ზურაბ გირჩი ჯაფარიძე დაიმატეს, ცოტა ხანში, დროა და ელენე (ლიაკა) ხოშტარია, რესპუბლიკური პარტია და „აქტივისტები მომავლისთვისაც“ შეიერთეს და თქვენ წარმოიდგინეთ, ხათუნა სამნიძეც კი. მოკლედ, ვინც ოდესმე საკუთარი პარტია დატოვა და ცალკე გავიდა, ყველა ერთად და თითოეული ცალ-ცალკე იხილეთ „ახალ“ კოალიცია „ცვლილებისთვის“. ვერ გეტყვით, რა ბედი ეწევა ამ პოლიტიკურ აჯაფსანდალს 26 ოქტომბერს, მაგრამ ჩვენ მანამდე, ახლების ლიდერების და ძველი ნაციონალების – ნიკა გვარამიასა და ნიკა მელიას ქონებრივი დეკლარაციები განვიხილოთ.

ორი ნიკას – გვარამიას და მელიას ქონებრივი დეკლარაციები

ნიკა გვარამიას ბიოგრაფია

ის ქართველი იურისტი, პოლიტიკოსი და ბიზნესმენია. ყოველ შემთხვევაში, „ვიკიპედიაზე“ დაყრდნობით, ასეა. მოკლედ, ქართული „ვიკიპედიის“ დახმარებით, გავიხსენოთ ნიკა გვარამიას ბიოგრაფია, მაგრამ ჯერ ზოგად ინფორმაციას გავეცნოთ: 2007 წლის მარტში, ნიკა გვარამია დაინიშნა საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილედ.

2008 წლის 31 იანვრიდან 2008 წლის 27 ოქტომბრამდე, იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრი. 2008 წლის 27 ოქტომბრიდან 2009 წლის 7 დეკემბრამდე, ნიკა გვარამია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი და ინტელექტკლუბის – „რა? სად? როდის?“ მოაზროვნეა.

2012 წლის 14 ნოემბერიდან 2019 წლის 18 ივლისამდე, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორია და იმავდროულად, „მთავარი არხის“ დამფუძნებელი და მეწილე გახლავთ. 2022 წელს, ნიკა გვარამიას 3 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯეს, თუმცა მოგვიანებით, 2023 წლის 22 ივნისს, პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა იგი შეიწყალა.

ნიკა გვარამია დაიბადა 1976 წლის 29 ივნისს ქალაქ სოხუმში. 1998 წელს, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ამის შემდეგ, 2000-2003 წლებში, იგი საადვოკატო კომპანიაში – შპს „სანდო“ მუშაობდა. 2004 წელს, მუშაობდა სს „თელასში“. 2004-2007 წლებში იყო საქართველოს მე-6 მოწვევის პარლამენტის წევრი, პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკი: „ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატები “. არჩეული იყო პარტიული სიით საქართველოს ეროვნულ ძალთა გაერთიანება – კონსერვატორების პარტიიდან. იყო საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის, იურიდიული საკითხთა კომიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის წევრი და პარლამენტის საბაჟო ტერმინალ „ოპიზასთან“ დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ და „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონების მოთხოვნათა დარღვევის საკითხის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის წევრი.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პოსტი ნიკა გვარამიამ საკუთარი ნებით დატოვა და იგი დიმიტრი შაშკინმა ჩაანაცვლა. პრემიერ-მინისტრ ნიკოლოზ გილაურის განცხადებით, გვარამიას სწავლის გაგრძელება სურდა, რის გამოც თანამდებობა საკუთარი სურვილით დატოვა.

რა ქონებას ფლობს გვარამია

უკანასკნელად, ქონებრივი დეკლარაცია ნიკა გვარამიამ, როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, 2010 წლის 5 იანვარს შეავსო. მართალია, ახლა ძალიან ბევრი მითქმა-მოთქმა არსებობს გვარამიას ქონებასთან დაკავშირებით, მაგალითად, ტელეკომპანია „იმედის“ ინფორმაციით, „მთავარი“ არხის დამფუძნებლის საკუთრებაშია მიწის ნაკვეთი და სახლი ბეთანიაში და საკმაოდ მდიდარიც გახლავთ. თუმცა, 2010 წელს შევსებული დეკლარაციით, განათლებისა და მეცნიერების ექს-მინისტრი საკმაოდ მოკრძალებულად ცხოვრობდა.

ნიკა გვარამიას საკუთრებაშია საცხოვრებელი სახლი სოხუმში. მასვე ეკუთვნის ბინა თბილისში, რომელიც იმ დროისთვის, 12 4000 ლარად შეუფასებიათ. დეკლარაციის მიხედვით, ნიკა გვარამია არ ფლობს ფასიან ქაღალდებს. დეკლარაციის შევსების დროს, ბანკი „რესპუბლიკას“ მიმდინარე ანგარიშზე 600 ლარი ერიცხებოდა. დეკლარაციის შევსების დროს, ნიკა გვარამიას არ ჰქონდა ხელთ ნაღდი ფული, რომელიც აღემატებოდა 4 000 ლარს. ნიკა გვარამიას ოჯახი არ მონაწილეობდა სამეწარმეო საქმიანობაში და შესაბამისად, არც ამ საქმიანობიდან მიუღია შემოსავალი.

ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, ერთი საანგარიშო წლის განმავლობაში, ნიკა გვარამიას ხელფასი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პოსტზე – 39 710 ლარი გახლდათ. დეკლარაციაშივე მითითებულია მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი – 2007 წელს, ნიკა გვარამიამ საკრედიტო ხელშეკრულება გააფორმა ბანკ „რესპუბლიკასთან“. ნიკა გვარამიას ოჯახს იმ დროისთვის არ ჰქონდა მიღებული ისეთი ძვირადღირებული საჩუქარი, რომლის საბაზრო ღირებულება აღემატებოდა 500 ლარს.

ნიკა მელიას დეკლარაცია

ვიდრე მელიას ქონებას გაგაცნობთ, ჯერ მისი ბიოგრაფია გავიხსენოთ. ნიკანორ მელია დაიბადა 1979 წლის 21 დეკემბერს, თბილისში, ცნობილი ექიმის – ანზორ მელიასა და ნანა ცაავას ოჯახში. 1996 წელს, დაამთავრა თბილისის 47-ე საშუალო, 2002 წელს – საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აკადემია სამართალმცოდნეობის სპეციალობით, 2006 წელს – ოქსფორდის ბრუქსის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტი და მიიღო მაგისტრის ხარისხი.

2002-2003 წლებში, ნიკა მელია საქართველოს უშიშროების სამინისტროში, გამომძიებლად მუშაობდა. 2007 წელს, მუშაობა დაიწყო საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის თავდაცვისა და მართლწესრიგის დეპარტამენტში მრჩევლად, 2007-2008 წლებში – ამავე აპარატის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტში იყო მრჩევლის პოზიციაზე. 2008-2009 წლებში, აღსრულების ეროვნული ბიუროს უფროსის მოადგილე გახლდათ, ხოლო 2009 წლიდან – აღსრულების ეროვნული ბიუროს უფროსი იყო.

2010 წელს, ნიკა მელია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ უფროსი იყო. იმავე წელს გახდა აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებლო ბიუროს უფროსი, სადაც 2012 წლამდე მუშაობდა.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, 2013-2014 წლებში, ნიკა მელია მთაწმინდის რაიონის გამგებელი იყო. 2014 წელს, თბილისის მერის თანამდებობაზე იყრიდა კენჭს, თუმცა „ქართული ოცნების“ კანდიდატთან დამარცხდა. ამის შემდეგ დაიწყო მელიას აქტიური პოლიტიკური საქმიანობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რიგებში.

2016-2019 წლებში, საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრი იყო, თუმცა 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენების შემდეგ, მელიას ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობისა და მასში მონაწილეობისთვის ბრალი წაუყენეს, პროკურატურამ პარლამენტს მისი დეპუტატის მანდატის შეჩერების მოთხოვნით მიმართა. 26 ივნისს, საპარლამენტო უმრავლესობამ მელიას სადეპუტატო იმუნიტეტი მოუხსნა, თუმცა სასამართლომ ის დარბაზიდან 30 000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. 2019 წლის 12 ნოემბერს, პარლამენტარს დეპუტატის უფლებამოსილება შეუჩერდა. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ და გაერთიანებულმა ოპოზიციამ – „ძალა ერთობაშია“ გლდანის საარჩევნო ოლქის მაჟორიტარობის კანდიდატად წარადგინა. პირველ ტურში, ნიკა მელიამ მიიღო 31 391 ხმა ანუ 44.06% და პირველ ადგილზე გავიდა. მეორე ტურში მონაწილეობაზე მელიამ უარი განაცხადა, მიუხედავად ამისა, მისი გვარი დატანილი იყო საარჩევნო ბიულეტენზე და მეორე ტურში ხმების 10.64% მიიღო.

რაც შეეხება ქონებრივ დეკლარაციას, ის საკმაოდ მწირია. დეკლარაციიდან ირკვევა, რომ ნიკა მელიას საკუთრებაშია ორი ბინა თბილისში და ავტოფარეხის 15%-იანი წილი. დეკლარაციის შევსების მომენტში, მელიას ლიბერთი ბანკის სახელფასო ანგარიშზე – 20 117 ლარი, ხოლო ნაღდი ფულადი თანხის სახით – 8 000 აშშ დოლარი ჰქონდა.

აუდიტის ამ ანგარიშს პროკურატურა სწავლობს!

მაკა რუხაძე

„ვერსია“ განაგრძობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იმ ანგარიშების განმეორებას, რომლებიც უწყებამ გენერალურ პროკურატურაში გადააგზავნა. ამჯერად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტს განვიხილავთ. უფრო ზუსტად, ამ მუნიციპალიტეტში არსებული ფინანსური დარღვევები „ვერსიაში“ დეტალურად შარშან უკვე განვიხილეთ, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ უწყებამ აუდიტის ეს ანგარიშიც პროკურატურაში გადააგზავნა, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, მცირეოდენი შემოკლებით. ვიდრე აუდიტის ანგარიშს შემოგთავაზებთ, შეგახსენებთ, რომ როგორც მოსალოდნელი იყო, სახელმწიფო აუდიტორებმა ქობულეთის მუნიციპალიტეტში მთელი რიგი ნაკლოვანებები გამოავლინეს, მათ შორის, ბიუჯეტის შესრულებაში, სახელმწიფო შესყიდვებში, მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობაში, შრომის ანაზღაურებასა და ტრანსპორტის ხარჯებში.

რა დარღვევები გამოვლინდა ქობულეთის მუნიციპალიტეტში

ქობულეთი – დარღვევები ბიუჯეტის შესრულებაში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების შესაბამისად, აუდიტის პერიოდში, შემოსულობების გეგმა – 102 722 342 ლარით, ხოლო გადასახდელების – 107 466 404 ლარით განისაზღვრა. 2021-2022 წლებში, ბიუჯეტის შემოსულობების გეგმური მაჩვენებელი ჯამურად 89.1%-ით, ხოლო გადასახდელების – 86.4%-ით შესრულდა.

„შეუსრულებლობა, ძირითადად, სახელმწიფო შესყიდვების შედეგად მიღებულმა ეკონომიამ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან კაპიტალური ტრანსფერის სახით მიუღებელმა 9 452 347 ლარმა განაპირობა. აღნიშნული ტრანსფერის მუნიციპალიტეტისათვის გადაცემა შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების პროპორციულად ხორციელდება. შესაბამისად, შემოსულობებისა და გადასახდელების შეუსრულებლობის მიზეზი არასწორად დაგეგმილი და განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებია.

კერძოდ, 2021-2022 წლებში, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისთვის ბიუჯეტით გამოყოფილი 2 697 231 ლარიდან ათვისებულია მხოლოდ 1 488 272 ლარი ანუ 55.2%, რაც იმის შედეგია, რომ შემსრულებელმა კომპანიამ ვალდებულება დროულად არ შეასრულა“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ შემსრულებელი კომპანიების მიერ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, შეწყვეტილია რვა ხელშეკრულება, რის შედეგადაც ბიუჯეტით გამოყოფილი 3 131 128 ლარიდან, ათვისებულია მხოლოდ 332 386 ლარი ანუ 10.6%. ადგილობრივი ბიუჯეტის საბალანსო მონაცემების შესაბამისად, 2021 წელს ნაშთის ცვლილების გეგმური მაჩვენებელი 7.5%-ით, ხოლო 2022 წელს 56.8%-ით შესრულდა.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ 2021-2022 წლებში, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, ბიუჯეტის შემოსულობების გეგმური მაჩვენებელი ჯამურად 89.1%-ით, ხოლო გადასახდელების – 86.4%-ით შესრულდა. ამასთან, ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული თავისუფალი საბიუჯეტო სახსრები არასრულადაა გამოყენებული. ყველაფერი ეს, მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვასა და სხვადასხვა პროექტის დაგეგმვის ხარვეზებზე მიუთითებს.

ხარვეზები სახელმწიფო შესყიდვებში

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველჰყოფს სახელმწიფო შესყიდვების სათანადო დაგეგმვა-განხორციელებას, რაც შესყიდული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გონივრულ ვადაში გამოუყენებლობასა და მათში არსებულ ხარვეზებში გამოიხატება. შედეგად, მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები ვერ განხორციელდა.

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა კონტროლის სისტემამ ვერ უზრუნველჰყო სათანადო ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების მქონე მიმწოდებლების შერჩევა, რამაც მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების შეჩერება განაპირობა. ამასთანავე, ვალდებულებების შეუსრულებლობისა და საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლის მიუხედავად, ავანსად გაცემული თანხის დასაბრუნებლად მუნიციპალიტეტს სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია“.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ვინაიდან ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიაში დანერგილი შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების სათანადო დადასტურებას, ოთხ შემთხვევაში, ვერ მიიღეს რწმუნება შესყიდული სამუშაოსა და მომსახურების სახელშეკრულებო პირობებთან შესაბამისობის შესახებ.

„ამასთან, არასრული სახით ხდება ხელშეკრულებების შესრულებასთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვა, რაც ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგის შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენს“.

დარღვევები მუნიციპალური აქტივების მართვაში

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქობულეთის მუნიციპალიტეტს ბალანსზე ერიცხებოდა 374 264 476 ლარის ღირებულების აქტივები მათ შორის, 361 155 345 ლარის – ძირითადი აქტივი და 8 641 484 ლარის – სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივი.

„ათი ინფრასტრუქტურული პროექტის სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ხარჯთაღრიცხვებში გათვალისწინებული იყო არსებული აქტივების დემონტაჟის შედეგად მიღებული ვარგისი სამშენებლო მასალისა და სხვა დაუზიანებელი აქტივის დასაწყობება. შესაბამისი მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციით, ქონება დასაწყობებულია, თუმცა მათი ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა და არც მუნიციპალიტეტის ბალანსზე არ ასახულა. ამასთან, მუნიციპალიტეტის მერიამ ვერ წარადგინა ინფორმაცია ვარგისი ქონების განთავსების ლოკაციების თაობაზე.

მოპოვებული ინფორმაციით, 2022 წელს, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას და მუნიციპალურ ორგანიზაციებს, მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, არ ჩაუტარებიათ ბალანსზე რიცხული 192 203 655 ლარის აქტივების, მოთხოვნების და ვალდებულებების სრული ინვენტარიზაცია, რის გამოც აქტივები და ვალდებულებები არ შემოწმებულა და არც მათი აღრიცხვის სისწორე დადგენილა“.

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ 2021 წელს, ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციის შედეგად დაფიქსირდა 14 დასახელების, 12 143 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების ავტოსატრანსპორტო საშუალებების დანაკლისი, თუმცა წარდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ინვენტარიზაციის შედეგებზე რეაგირება არ მომხდარა.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ 2022 წელს, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიასა და მუნიციპალურ ორგანიზაციებს, მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, არ ჩაუტარებიათ ბალანსზე რიცხული 192 203 655 ლარის აქტივების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების სრული ინვენტარიზაცია, არ არის შესრულებული მოთხოვნები იჯარით გაცემული ქონების აღრიცხვასთან დაკავშირებით და არ არის აღრიცხული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელების დროს ქონების დემონტაჟის შედეგად მიღებული ვარგისი მატერიალური აქტივები. ყველაფერი ეს, სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, საჯარო აქტივების მართვაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს.

ხარვეზები მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობაში

აუდიტის პერიოდში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემულია 242 სამშენებლო ნებართვა, მათ შორის, 214 შემთხვევაში ნაბართვა გაცემულია ახალ მშენებლობაზე, 11 შემთხვევაში – მშენებლობის ცვლილებასა და 17 შემთხვევაში – შენობის დემონტაჟზე. სახელმწიფო აუდიტორებისთვის მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, 2021-2023 წლებში, ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოვლენილია უნებართვო მშენებლობის 30 შემთხვევა, რის გამოც მშენებლობის მწარმოებელი ფიზიკური თუ იურიდი-

დასასრული მე-8 გვერდზე

აუდიტის ამ ანგარიშს პროკურატურა სწავლობს!

ული პირები დაჯარიმდნენ 93 000 ლარით, საიდანაც 2023 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გადახდილია 53 590 ლარი ანუ ჯარიმის 57.6%.

„აუდიტის ჯგუფმა შერჩევითი წესით შეისწავლა ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების კანონიერება. შესწავლის შედეგად, გამოვლინდა ოთხი უნებართვო მშენებლობა, რომელთან დაკავშირებით, ქობულეთის ზედამხედველობის სამსახურის მიერმიღებულია დადგენილებები, მშენებელი პირების მიმართ საჯარიმო სანქციების დაკისრებისა და უკანონოდ აშენებული შენობების დემონტაჟის შესახებ, თუმცა აღნიშნული ღონისძიებები, პრაქტიკულად, არ განხორციელებულა.

კერძოდ, ქალაქ ქობულეთში, თამარ მეფის სანაპირო 52-ისა და 54-ის, ასევე, დავით აღმაშენებლის გამზირის 279-ის მიმდებარედ, დაფიქსირდა კაფე-ბარების უნებართვო მშენებლობები. სამივე შემთხვევაში, მშენებლობა განხორციელებულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომლითაც აღნიშნული პირები სარგებლობდნენ მუნიციპალიტეტის მერიასთან გაფორმებული საიჯარო ხელშერკულების საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით, 2023 წლის ივლისში, მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მიღებულია დადგენილებები, მშენებელი პირების დაჯარიმებისა და უკანონოდ აშენებული შენობების დემონტაჟის შესახებ, თუმცა დათვალიერების თარიღისათვის შენობების დემონტაჟი არ იყო განხორციელებული“.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ქობულეთის მერიის მიერ, უკანონო მშენებლობების აღკვეთის მიზნით გატარებულმა ღონისძიებებმა ვერ შეაჩერა უნებართვო მშენებლობები და ვერც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების უკანონო გამოყენება აღკვეთა, რაც ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე მშენებლობების ზედამხედველობასთან დაკავშირებული შიდა კონტროლის სისტემის არსებით სისუსტეზე მიუთითებს.

ხარვეზები შრომის ანაზღაურებაში

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების ადგილობრივი ბიუჯეტების შესაბამისად, შრომის ანაზღაურების ფონდი ჯამში – 5 090 543 ლარით განისაზღვრა. ამავე პერიოდში, შრომის ანაზღაურების სახით გახარჯულია 5 041 755 ლარი, რაც საბიუჯეტო გეგმის 99%-ია. სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა მიერ მიღებული თანამდებობრივი სარგოს და ფაქტობრივად ნამუშევარი დროის შესაბამისობის დადგენის მიზნით დანერგილი კონტროლის მექანიზმები არ ფუნქციონირებს.

„კერძოდ, არ წარმოებს თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების აღრიცხვა. ამასთან, აუდიტის პერიოდში, მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებებში არ მიმდინარეობს სამუშაო დროის გამოყენებისა და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელის წარმოება. ხელფასების დარიცხვა ხდება მხოლოდ საშტატო განრიგის საფუძველზე. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ სრული განაკვეთით დასაქმების პირობებში, 26 თანამშრომელი, რომელთა ანაზღაურებამ 2021-2022 წლებში, 148 195 ლარი შეადგინა, პარალელურად ირიცხებოდნენ მუნიციპალიტეტის სხვა დაწესებულებების მუშაკებად, სადაც შრომის ანაზღაურების სახით, მიღებული აქვთ 137 202 ლარი. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება მათ მიერ სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებასთან დაკავშირებით“.

ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შედეგად გამოვლინდა, რომ რიგი თანამშრომლების ხელფასები – სულ 2 249 ლარი, არასწორად გადაერიცხათ სხვა თანამშრომლებს. სახელმწიფო აუდიტორებისთვის წარდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, არასწორად გადარიცხული ხელფასები თანამშრომლებს შორის პირადი ანგარიშსწორებით დარეგულირდა და მათი სათანადო აღრიცხვა არ განუხორციელებიათ.

სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს ფაქტობრივად ნამუშევარი დროის აღრიცხვის სისტემა.

გამოვლინდა შრომის ანაზღაურების არასწორად გაცემისა და 24 122 ლარის მითვისების ფაქტები. აღნიშნული გარემოებები, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასთან მიმართებით, არსებული კონტროლის მექანიზმების არსებით სისუსტეზე მიუთითებს და არამართლზომიერი ქმედებების რისკებს შეიცავს.

დარღვევები ტრანსპორტის ხარჯებში

2021-2022 წლებში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის, ასევე, მათი მოვლა-შენახვის საკასო ხარჯებმა შეადგინა 2 685 338 ლარი. ამავე პერიოდში, მუნიციპალიტეტის ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე საწვავის ხარჯვა ხორციელდებოდა აგაი (ავტომანქანის გამართვა და ავტომატური იდენტიფიცირება) სისტემის გამოყენებით. ჯამში, გახარჯულია 469 962 ლარის საწვავი, მათ შორის, ბალანსზე რიცხულ 18 ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გაიხარჯა 307 788 ლარის საწვავი, ხოლო საჯარო მოხელეების პირად საკუთრებაში არსებულ 21 ერთეულ ავტოტრანსპორტზე – 162 174 ლარის საწვავი.

„ტრანსპორტთან დაკავშირებული დანახარჯების ანალიზი ცხადჰყოფს, რომ არასათანადო კონტროლია დაწესებული მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების სარგებლობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გამოყოფილი საწვავის ხარჯვის საკითხზე. ამასთან დაკავშირებით, ვერ იქნა წარმოდგენილი გაცემული საწვავის სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისთვის ხარჯვის დოკუმენტური დადასტურება. ჩატარებული აუდიტით გამოვლინდა რიგი შემთხვევები, როდესაც უფლებამოსილი პირები არ იმყოფებოდნენ მივლინებაში, თუმცა ავტომანქანა დაფიქსირებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. აღნიშნულ შემთხვევებზე ვერ იქნა წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი ავტომობილის ყოფნის აუცილებლობის დამადასტურებელი დოკუმენტური მტკიცებულება“.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველჰყოფს საწვავის მიზნობრივად ხარჯვის დოკუმენტურ დადასტურებას, რის გამოც ვერ მიიღეს რწმუნება აუდიტის პერიოდში 52 070 ლიტრი საწვავის სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებით.

სამართალი

№26 21 აგვისტო 2024 წ

როგორ აბამენ უცხოეთში მყოფი „კანონიერი ქურდები“ მოზარდებს მახეში

ნარკოეპიდემია საქართველოში – შემაშფოთებელი სტატისტიკა

ბათო ჯაფარიძე

ვერ გეტყვით, იმუშავებს თუ არა ახალი მოწვევის პარლამენტი ნარკოლიბერალიზაციის გაუქმების მიმართულებით, მაგრამ ფაქტია, რომ ნარკოტიკები საქართველოს ახალგაზრდობისთვის უდიდეს პრობლემადაა ქცეული. ახლა, სწორედ აგვისტოში, განსაკუთრებით რეგიონებში, ხშირად გაიგონებთ მოზარდების კითხვას – „როგორი მოსავალი გაქვს?!“ და ეს პირდაპირი მინიშნებაა იმაზე, თუ ვის როგორი „მარიხუანა“ მოუვიდა. დიახ, სწორედ რომ რეგიონებში, „მარიხუანას“ უამრავი ნერგია გასახმობად ჩამოკიდებული და დიდ ქალაქებშიც, აივნებზე, ბევრი ახარებს ამ მცენარეს უპრობლემოდ. უპრებლემოდ კი იმიტომ, რომ სამართალდამცავები ვერაფერს ეუბნებიან, ვერაფერს ცვლიან, „მარიხუანას“ მოხმარებაზე ჩვენთან ციხე არ არის.

ბოლო კვარტალში, შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ნარკოლოგიური შემოწმების სამსახურმა, საერთო ჯამში, 1 200 პირი შეამოწმა, საიდანაც ნარკოტიკული თრობა 828 პირს დაუდასტურდა. ეს კი სუფთა 69%-ია ანუ ციფრი მაღალი კი არ არის, კატასტროფული და საგანგაშოა. ამ 828 პირიდან, 26 მდედრობითი სქესის იყო და მათგან ნარკოტიკული თრობა 7-ს დაუდასტურდა (25%), ხოლო 5 არასრულწლოვანიდან, ნარკოტიკული თრობის ქვეშ 2 იყო (თითქმის 50%).

მოდით, ვაღიაროთ, რომ ბოლო დროს მომრავლებული წვრილ-წვრილი დანაშაულები, ძირითადად, იმიტომ ხდება, რომ ადამიანებს ნარკოტიკის საყიდელი ფული არ აქვთ. რაც მთავარია, ამის შესახებ იცის აბსოლუტურად ყველამ, მაგრამ კიდევ გავიმეორებ, რომ სწორედ ნარკოლიბერალიზაციის გამო, სამართალდამცავებს ხელ-ფეხი აქვთ შეკრული და, პრაქტიკულად, ვერაფრის გაკეთებას ახერხებენ. უფრო ცუდი კი ის გახლავთ, რომ ამ წვრილ-წვრილ დანაშაულებში, ძირითადად, არასრულწლოვნები არიან ჩართულნი და ისევ შესაბამისი კანონის არქონის გამო, მაათი დაკავება ვერ ხერხდება. ამიტომ ვამბობ, რომ ახალი მოწვევის პარლამენტს, აუცილებლად მართებს ამ მიმართულებით დაფიქრება და ვინც უნდა გაიმარჯვოს არჩევნებში, სწორედ მასზე იქნება დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდების მომავალი.

თავად განსაჯეთ, ექსპერტიზა ჩაუტარდა 1 200 ადამიანს და აქედან, ლამის 70%, ნარკოტიკული თრობის ქვეშ იყო ანუ ყოველი ათი ადამიანიდან, შვიდი ნარკოტიკების მომხმარებელი გამოდის. ეს, უხეშად რომ დავიანგარიშოთ, მაგრამ არც დაანგარიშება გვჭირდება და არც გაანგარიშება – უბრალოდ, გაიარეთ, გნებავთ, დიდ ქალაქებში, გნებავთ, რეგიონებში იქ, სადაც საღამოობით, შებინდებულზე ახალგაზრდები არიან შეკრებილნი და ათიდან ცხრა შემთხვევაში, „მარიხუანას“ სუნს იგრძნობთ. ვიღაც იტყვის, სამართალდამცავების გარდა, ამას ყურადღება მშობლებმაც უნდა მიაქციონო, მაგრამ ვაი, რომ მოზარდებმა უკვე ისწავლეს და კარგად გაითავისეს ის, რომ მშობლის მხრიდან ყვირილი, შენიშვნა, დატუქსვა, მარტივად შეუძლიათ, 112-ში დარეკვითა და ჩივილით აიცილონ და მერე მშობელიც ცდილობს, უფრო ლმობიერი იყოს, რადგან ერთი გაფრთხილების შემდეგ, შესაძლოა, ციხეში 3 წლით მოხვდეს, ამიტომ ხელ-ფეხი მასაც ეკვრება.

ყველაზე დიდი უბედურება კი ის გახლავთ, რომ ნარკოტიკის შეძენა ინტერნეტის მეშვეობით უმარტივესად შეიძლება, აკი, იძენენ და მოიხმარენ კიდეც. თუმცა, ამას უფრო მაშინ აკეთებენ, როცა საქმე ძლიერ ნარკოტიკს ეხება, „მარიხუანა“ კი ხელის ერთ გაწვდენაზეა, ლამის, ყველა ღამის კლუბთან იყიდება და ძალოვნები ვერც ამ შემთხვევაში ცვლიან რამეს – ერთი ადამიანისთვის საკმარისი დოზა მოხმარების საგნად ითვლება და „ბარიგაც“ მიდის, გაყიდის ორ სიგარეტ „მარიხუანას“, შემდეგ ლოკაციას ტოვებს, ახალი ორი ღერი მოაქვს და ასე დაუსრულებლად. ღამის კლუბებთან კი, მათი მუშტარი, ძირითადად, არასრულწლოვნები არიან, რომლებსაც ცელოფნიდან წებოს ყნოსვა მობეზრდათ და ახლა „კაიფს“ „მარიხუანით“ „ისწორებენ“.

სხვათა შორის, სწორედ ამ მსუბუქი ნარკოტიკის მოხმარებით იწყება შემგომ „კაი ბიჭობაზე“ პრეტენზია, იმის მტკიცება, რომ მომავალში „კანონიერი ქურდი“ უნდა გახდეს, რადგან, როცორც სხვა ნარკოტიკი, ისე „მარიხუანაც“ იწვევს მიჩვევას და მისთვის ყოველდღიური ფულის გამონახვა დიდებისთვის არის პრობლემა და არასრულწლოვნებისთვის ხომ, საერთოდ. ამიტომ, ჯერ წვრილმან ქურდობებს სჩადიან, მერე ამსხვილებენ და ამ გზას თავისთავად მიჰყავს იქამდე მომავალი თაობა, რასაც კრიმინალური ცხოვრება ჰქვია.

„ყველაფერი ეს ძალიან კარგად იციან საზღვარგარეთ მყოფმა „კანონიერმა ქურდებმა“ და ისინი ყველაფერს აკეთებენ, რათა, რაც შეიძლება მეტი არასრულწლოვანი გააბან თავის მახეში. მერე, ამ არასრუწლოვნებს ეუბნებიან, რომ „ქურდული ობშჩიაკისთვის“ ფულია საჭირო და ის უბედურები რასაც იპარავენ, დიდ ნაწილს ან საზღვარგარეთ რიცხავენ, ან აქვე, საქართველოში აძლევენ „კანონიერი ქურდების“ ოჯახის წევრებს. მერე, თანატოლებში „ბლატაობენ“, რომ ქურდებს იცნობენ, რომ „ობშჩიაკს“ ავსებენ და თანატოლებსაც უნდათ იგივე. ამ ასაკში ხომ გგონია, რომ ყველაფერი ეს რომანტიულია, კარგია და ფიქრობ, რაღაც მიზანი გაქვს. სინამდვილეში კი, იქაურებს ესენი აინტერესებთ იქამდე, სანამ „იწველებიან“, მერე კი, უბრალოდ ივიწყებენ“, – გვეუბნება სამართალდამცავი.

არავინ მალავს, რომ ნარკოტიკების გავრცელების მიმართულებით, უკვე უცხო ქვეყნის მოქალაქეები ლიდერობენ. მათ შორის, მრავლად არიან, როგორც რუსები, ასევე უკრაინელები, მაგრამ უდიდესი ნაწილი აზიური ქვეყნებიდან არიან ანუ იქიდან, სადაც ნარკოტიკების გავრცელება სიკვდილით ისჯება და სიკვდილი კიდევ არავის სურს. ადრეც არაერთხელ დამიწერია და კიდევ გავიმეორებ, გარკვეულ დანაშაულებსა და, მათ შორის, უპირველესად ნარკოტიკების გამსაღებლებზე, უნდა იყოს სამუდამო პატიმრობა პირველი 25 წლის განმავლობაში, შეწყალების მოთხოვნის უფლების გარეშე!

ახლაც, ხელისუფლება სექტემბრისთვის მორიგ ამნისტიას ამზადებს და დიდი ნაწილი, სწორედ ნარკოტიკების მომხმარებლებს შეეხება. ისინი გარეთ გამოვლენ და როგორ გგონიათ, ისევ მოიხმარენ თუ არა ნარკოტიკს? პრაქტიკა აჩვენებს, რომ მომხმარებელთა 80%-ზე მეტი, სასჯელის მოხდის შემდეგ, კვლავ მომხმარებელთა სიაში ეწერება, რაც იმას ნიშნავს, რომ სასჯელის მოხდა გამოსავალი არ არის. რა თქმა უნდა, შესაძლებელია იძულებითი მკურნალობის დანიშვნა, მაგრამ არც ეს არის გამოსავალი, რადგან ისევ პრაქტიკა აჩვენებს, რომ იძულებითი მკურნალობის შემდეგაც კი, მომხმარებელთა აბსოლუტური უმრავლესობა, ნარკოტიკის მოხმარებას უბრუნდება.

როგორ უნდა ინატრო და თქვა იმ პერიოდზე, როცა, მაგალითად, წინახელისუფლება, იმავე „მარიხუანას“ მოხმარებისთვის, 10 და 15 წელს საახალწლო კანფეტებივით არიგებდა, მაგრამ ვაღიაროთ – ამან მაშინ შედეგი მოიტანა და ნარკოტიკების მოხმარება მინიმუმამდე დავიდა. კი, ყველაფერ ამას, თავისი დიდი მინუსიც ჰქონდა, რეალურად, მაშინ მძიმე ნარკოტიკის გაყიდვას, მაღალჩინოსანი ძალოვნები მფარველობდნენ, მაგრამ შედეგი ის იყო, რომ ნაარკოტიკების მოხმარება, სწორედ დიდი სასჯელის შიშით შემცირდა და ნარკოლიბერალიზაციის შემდეგ, ეს სასჯელი კი არ შეამოკლეს, არამედ, მთელ რიგ შემთხვევებში, გააუქმეს და გაანულეს. თავად განსაჯეთ, „მარიხუანას“ იმ მომხმარებელს, რომელსაც ნაციონალების დროს, 10 წელი მისცეს და ციხიდან საყოველთაო ამნისტიის მიღების შემდეგ გამოუშვეს, ეუბნები, რომ შეგიძლია ის გააკეთო, რის გამოც 10 წელი მოგისაჯეს და ახლა ამისთვის არავინ დაგსჯის. ეს არის თავი და თავი მიზეზი, რომ ნარკოტიკულ თრობაზე შემოწმებული ადამიანების 70% მომხმარებელია. აი, მათ რომ დაკავება-დაპატიმრების შიში ჰქონდეთ, მათ რომ იცოდნენ, ამის გამო ციხეში მოხვდებიან, მერწმუნეთ, ციფრი არათუ განახევრდება, ამის მეოთხედიც კი არ იქნება.

ახლა, ვიღაც აუცილებლად იტყვის, რომ ნარკოდამოკიდებული ადამიანი ავადმყოფია, მაგრამ მოდით, სიმართლეს გავუსწოროთ თვალი. მე თუ ავადმყოფი ვარ, ვმკურნალობ და თუ სამკურნალო ფული არ მაქვს, არ ვიპარავ. მე თუ ავადმყოფი ვარ, საკუთარ თავს არ ვვნებ, არ ვიღებ ისეთ რამეს, რაც ჩემს ჯანმრთელობას აზიანებს და ახლა არ დაიწყოთ, „მარიხუანა“ სასარგებლოა, არაფერს ვნებსო. არა, ბატონებო, სამედიცინო ენაზე რომ აგიხსნათ, როდესაც ადამიანი „მარიხუანას“ ეწევა, კვამლი ზედა სასუნთქი გზებიდან, ფილტვებში ხვდება. კვამლში არსებული ფსიქოტროპული ნივთიერებები ფილტვებიდან სისხლში გადადის, სისხლს კი, ის ტვინსა და მთელ დანარჩენ ორგანიზმში მიაქვს. მოწევისას, სისხლში კანაბინოიდების დონე პიკს, დაახლოებით, ათ წუთში აღწევს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ფსიქიკური და ფიზიკური ეფექტები, დაახლოებით, 20-30 წუთის შემდეგ დგება.

ტეტრაჰიდროკანაბინოლი უდიდეს გავლენას ახდენს ტვინის უჯრედების ფუნქციაზე. „მარიხუანა“ მოქმედებს ტვინის იმ უბნებზე, რომელიც პასუხს აგებს მეხსიერებაზე, კოორდინაციაზე, შეგრძნებაზე, განსჯის უნარზე. შესაბამისად, ადამიანი კარგავს აღქმისა და შეგრძნების უნარს, ეს ყველაფერი იწვევს უაზრო სიცილს, ეიფორიას, დროის შეგრძნების ცვლილებას, სხეულის მოძრაობის დარღვევას, მადის მომატებას, ფიქრისა და პრობლემის გადაჭრის უნარის დაქვეითებას, ჰალუცინაციებს, ბოდვებს... და ეს არასრული ჩამონათვალია.

როგორ გახდა ხეიბარი ქართველი დარაჯი დაქირავებული მკვლელი

გრიფით „საიდუმლო“ საქმე, რომელზეც მთელი საბჭოთა კავშირის მილიცია ლაპარაკობდა

ბათო ჯაფარიძე

ხანდახან, ერთი შეხედვით, ყველაფერი მარტივად იწყება და შემდეგ ისე რთულდება, რომ თავსა და ბოლოს ვერავინ გაუგებს. არსებობს რაღაც, რასაც ადამიანები ხშირად ვერ ვიგებთ, სანამ ფაქტის წინაშე არ დავდგებით და სანამ არ მივხვდებით, რომ გადაწყვეტილების მისაღებად ძალიან ცოტა დროა დარჩენილი.

ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, 70-იანი წლების მიწურულს, მთელ საბჭოთა კავშირში, უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა. მილიციის, პრაქტიკულად, ყველა თანამშრომელი ამ თემაზე საუბრობდა, მაგრამ ჩუმად, დაფარულად, რადგან საქმეს გრიფით „საიდუმლო“ დაედო, თუმცა დაედო მას შემდეგ, რაც გამოძიება დასრულდა და შედეგი დადგა. მანამდე ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ყველაფერი აქეთკენ მიდიოდა და როცა საქმე გაიხსნა, ყველამ ყველაფერი იცოდა, მაგრამ საიდუმლო გრიფი საქმეს მაინც დაადეს.

მილიციის განყოფილებაში 40 წლამდე ქალი მივიდა და განაცხადა,რომ მისი მეუღლე დაიკარგა. როგორც ქალი ამბობდა, ქმარი სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა.

„ჩემი ქმარი დარაჯად მუშაობდა. ყოველ მეორე დღეს იყო ხოლმე „სმენაში“ და როცა „სმენაში“ არ იყო, ტაქსაობდა, ჩვენი „მოსკვიჩით“ დადიოდა ხოლმე. სამი დღის წინ, სატაქსაოდ გავიდა და დამიბარა, ფული გვჭირდება, მთელი დღე და ღამე ვიტაქსავებ, იქიდან კი, პირდაპირ სამსახურში წავალ და მერე მოვალ, ერთიანად გამოვიძინებო. ასე გაუკეთებია რამდენჯერმე, ამიტომ არ გამკვირვებია, მაგრამ მესამე დღესაც რომ არ მოვიდა, ავფორიაქდი, სამსახურში დავრეკე და მითხრეს, რომ „სმენა“ გადაცვალა და სამუშაოზე არ ყოფილა. ვიფიქრე, ტაქსაობაში გაუმართლა, მესამე დღეც მიაბა-მეთქი, მაგრამ ისევ არ გამოჩნდა, არც სამუშაოზე მისულა და აგერ, თქვენთან მოვედი, მიშველეთ, დამეხმარეთ“, – ქალი ცრემლად იღვრებოდა.

რაღა თქმა უნდა, ძალოვნებმა მაშინვე მოკვლევა დაიწყეს. დარაჯი, რომელიც წესითა და რიგით, ხელს არავის შეუშლიდა, კრიმინალების სამიზნე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა გამხდარიყო, თუ ავტომობილი დასჭირდათ, კაცმა არ დათმო და მოკლეს და გადააგდეს. ამიტომ, ჯერ ავტომობილი უნდა ეძებნათ და თან ის აინტერესებდათ, ჰყავდა თუ არა კაცს მტრები, ან უთანხმოება ხომ არ ჰქონდა ვინმესთან.

„რა მტრები უნდა გვყავდეს? მთელი ახალგაზრდობა სპორტს შესწირა, საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც იყო, ბიატლონისტია ჩემი მეუღლე და მერე, როცა ფეხის ტრავმა მიიღო, კარიერაც ნაადრევად დაასრულა. გვეგონა, სამსახურის შოვნა არ გაუჭირდებოდა, მაგრამ ტრამვა იმდენად სერიოზული იყო, რომ ორი ოპერაციის შემდეგ, დაკოჭლდა და შესაბამისად, სამსახურის დაწყება გაუჭირდა. ისე, სულ იმას ამბობდა, ხუთ დიდ ტურნირში მაქვს მონააწილეობა მიღებული, ხუთივეგან ვერცხლის მედალი მოვიპოვე, ერთი ოქრო მაინც რომ ამეღო, ალბათ, სადმე თანამდებობაზე დამნიშნავდნენო. არ მინდა არაფერი, მხოლოდ მეუღლე მიპოვეთ“, – მოთქვამდა ქალი.

ძალოვნების გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დაკარგული კაცის ავტომობილი აეროპორტის ავტოსადგომზე იპოვეს. მეტიც, შემოწმების შემდეგ გაირკვა, რომ კაცს თბილისი-მოსკოვის ავიარეისის ბილეთი ჰქონდა ნაყიდი და რუსეთის დედაქალაქშიც ჩაფრენილი იყო ანუ ის იმ დღეს გაემგზავრა საქართველოდან, როცა ცოლს უთხრა, სატაქსაოდ მივდივარ და მერე სამსახურში გავაგრძელებ მუშაობასო. ყველა ლოგიკით, ქალი ორი დღე მშვიდად უნდა ყოფილიყო და აკი, იყო კიდეც.

„არა, რაღაც გეშლებათ. ჩემს მეუღლეს რუსეთში ბევრი ნაცნობი კი ჰყავს, მაგრამ მეტყოდა, რომ იქ წასვლას აპირებდა და საერთოდ, ახლა რა დროს მოსკოვი იყო? იქ წასვლას ხომ დიდი ფული სჭირდება, უფრო სწორედ, იქ ცხოვრებას სჭირდება დიდი ფული და ჩვენ ეს თანხები ნამდვილად არ გვაქვს“, – გაოცდა ქალი, მერე კი, თვალებზე ხელი აიფარა და ატირდა.

„ერთხელ, როცა აქტიური სპორტსმენი იყო და როცა რუსეთიდან დაბრუნდა, სიმთვრალეში მითხრა, ვიღაც ქალი გავიცანი, შევცოდე, გიღალატე და მაპატიეო. იქნებ, იმ ქალთან წავიდა და მიმატოვა, მაგრამ... შვილს, შვილს როგორ მიატოვებდა, მასზე ხომ მზე და მთვარე ამოსდიოდა, რომ ეძინა და ბავშვს ეფერებოდა, ცრემლები მოსდიოდა და როგორ დავიჯერო, რომ ბავშვი უმამოდ გაზრდისთვის გაწირა“, -დაამატა ქალმა.

რეალურად, სამართალდამცავებმა თავისი საქმე დაასრულეს, რადგან ის, რომ კაცი მოსკოვში გაფრინდა, კრიმინალს არ შეიცავდა, აი, ოჯახური საქმეები კი ძალოვნების გასარჩევი არ იყო. ქალი კი ეცოდებოდათ, მაგრამ რა უნდა ექნათ, რით უნდა ეშველათ? ამიტომ, საქმე დაიხურა და დავიწყებასაც მიეცემოდა, რომ არა ახალი გარემოება – სამი დღის შემდეგ, ქალი ისევ მივიდა მილიციის განყოფილეებაში და ძალოვნებს ისევ დახმარება სთხოვა.

„დღეს საავადმყოფოდან დამირეკეს, ჩემი ქმარი იკითხეს, მკურნალობის კურსი უნდა გაევლო და არ მოვიდაო. როგორც გავარკვიე, ჩემს ქმარს ბოლო სტადიის სიმსივნე ჰქონია და მე არაფერი ვიცოდი. იქნებ, მოსკოვში სამკურნალოდ წავიდა? იქნებ, მაპოვნინოთ, ოჯახის გარეშე გაუჭირდება“, – არ ჩერდებოდა ქალი.

სამართალდამცავებისთვის ეს სიახლე კი იყო, მაგრამ არა ისეთი, რომელიც კრიმინალის ნიშნებს შეიცავდა და რაც მთავარია, ამ სიახლის მიუხედავად, ისინი საქმეს მაინც ვერ აღძრავდნენ, თუმცა განყოფილების უფროსს შეეცოდა ქალბატონი და დაპირდა, მოსკოვში, სიმსივნის მკურნალობის ცენტრში ნაცნობი მუშაობს, დავურეკავ და თქვენი ქმრის ამბავს მოვიკითხავო.

ქალი შინ დაიმედებული დაბრუნდა,მაგრამ რად გინდა, მისი ქმრის სახელი და გვარი მოსკოვის საავადმყოფებში არავინ იცოდა ანუ მას ერთი კლინიკისთვის არ მიუმართავს. ეს ამბავი, წესით, ძალოვნებისთვისაც საინტერესო უნდა ყოფილიყო, მაგრამ რატომ? კრიმინალის ნიშნები არც ამ შემთხვევაში იკვეთებოდა და ქალი დააიმედს, შესაძლოა, უბრალოდ, გულის გადაყოლება მოუნდა, ფიქრობს, რომ მართლა უკურნებელი სენი სჭირს (არადა, სჭირდა), ცოტას გაერთობა და დაბრუნდებაო, რისიც ქალს არ სჯეროდა, ასეთი პასუხისმგებლიანი და მოწესრიგებული ადამიანი ცხოვრებაში არ შემხვედრია, რა გაერთობა და დაბრუნდება, ხომ არ გაგიჟდითო? მილიციის თანამშრომლები უხერხულად შლიდნენ ხელებს, ჩვენ მეტის გაკეთება არ შეგვიძლიაო და ქალი შინ გაისტუმრეს.

მომხდარიდან ერთ კვირაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოსკოვიდან შეტყობინება მიიღო – ქალაქის მშენებარე კორპუსიდან მამაკაცი გადმოხტა და გარდაიცვალა. მას დოკუმენტები ჯიბეში ედო, მუშებმა დაინახეს, როგორ გადმოხტა კაცი ანუ თავი მოიკლა და დოკუმენტების მიხედვით, გარდაცვლილი იმ ქალის ქმარი იყო, რომელიც ასე ნერვიულობდა, თუმცა ამას გარდა, მოსკოვიდან გამოგზავნილ ცნობაში ისიც ეწერა, რომ გვამის ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ მამაკაცის ხელებზე, ყურებზე, თვალებსა და ნიკაპზე დენთის იმ ოდენობის კვალი იყო აღმოჩენილი, რაც საფუძველს იძლეოდა ევარაუდათ, რომ კაცმა სიკვდილამდე ერთი, ორი ან სამი დღით ადრე, ძალიან ბევრჯერ ისროლა და ისროლა არა პოსტოლეტიდან, არამედ, თოფიდან ან შაშხანიდან, რადგან სხვაგვარად, სახეზე დენთის ამდენი კვალი ვერ დარჩებოდა.

რა თქმა უნდა, მომხდარი ქალს შეატყობინეს და მას ისტერიკა დაემართა, თუმცა რაღა უნდა ექნა, გადმოსვენების პროცედურებში დახმარება ისევ ძალოვნებს სთხოვა, მაგრამ აუხსნეს, რომ ვინაიდან მის სხეულზე დენთის ბევრი კვალი იყო, გადმოსვენება ცოტა შეფერხდებოდა. რუსი კოლეგები კი იწერებოდნენ, რომ ბოლო ერთ კვირაში, მოსკოვში, სნაიპერული შაშხანიდან გასროლით, ერთი „კანონიერი ქურდი“ და ორი კრიმინალური ავტორიტეტი მოკლეს. მათივე ცნობით, ეს კრიმინალური გარჩევები იყო, მაგრამ არავის ეგონა, რომ ვინმე გაბედავდა და მათ წინააღმდეგ გაისროდა. მსროლელს ხომ ყველა ვარიანტში სიკვდილი ელოდა და რუსი ძალოვნები ეჭვობდნენ, სწორედ საქართველოდან ჩამოსულმა სტუმარმა გაისროლაო. ეს უკვე საინტერესო იყო და ქართველებმა თვალთვალი გარდაცვლილის მეუღლეს დაუწყეს, თუმცა სათვალთვალო არაფერი იყო, შინ თუ გარეთ, ქალი ბოლო ხმაზე მოთქვამდა და საკუთარ ბედს წყევლიდა. მეტიც, აგენტურული ქსელის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ქალი ქმრის მანქანის გაყიდვას აპირებდა, მეუღლის გასვენების ორგანიზებისთვის, მერე იმასაც ფიქრობდა, საფლავისთვის ნორმალური ქვა შეეძინა და ლამაზად მოეწყო.

გადმოსვენება ორ კვირაში მოხერხდა, ქალმა ქმარი ღირსეულად დაიტირა და წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ მისი ქმრის დასაფლავების ცერემონიალს ოცამდე ოპერმუშაკი ესწრებოდა. საბოლოო ჯამში, ყველაფერი ისე დასრულდა, ძალოვნებს ეჭვი არაფერზე მიუტანიათ. მხოლოდ ერთი თვის შემდეგ, ქალმა რუსეთიდან ამანათი მიიღო, რომელიც მისი ქმრის მეგობრის სახელით იყო გამოგზავნილი და ამანათში... ძალიან, ძალიან დიდი თანხა იდო. მოგვიანებით, რუსეთში დაკავებულმა ერთ-ერთმა კრიმინალმა აღიარა, რომ სამი მკვლელობისთვის „ქილერი“ საქართველოდან ჩაიყვანეს და უზარმაზარი თანხაც გადაუხადეს. დადასტურდა ისიც, რომ მკვლელობა სწორედ ქართველმა შეასრულა, მერე კი თავი მოიკლა, თუმცა ოჯახისთვის „რაღაცის“ გაკეთება შეძლო. საქმეს გრიფით „საიდუმლო“ დაედო და სწორედ ამ საქმის შემდეგ, საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ყველა ვეტერანი მსროლელის კონტროლი დაიწყეს.

ბათო ჯაფარიძე

ქართველი „კონკიას“ რეალური ამბავი

როგორ გამდიდრდა ბავშვთა სახლში გაზრდილი ქალი

ბოლო დროს, სასამართლოში არაერთი სარჩელია შესული, სადაც ოჯახის წევრები ქონებრივ დავას განიხილავენ. არადა, ადრე ასე იყო – მშობლების ნაწვალებ-ნაჯახირები ანუ, პრაქტიკულად, ყველაფერი ბიჭს რჩებოდა, გოგო კი... გოგოსთვის ქმარს უნდა მიეხედა და ეს თითქოს დაუწერელი კანონი ყველასთვის ნორმა იყო. მერე და მერე, გავიხსენეთ, რომ ჯერ კიდევ როდის დაწერა რუსთაველმა, „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“-ო და გოგონებსაც გაუჩნდათ უფლებები ქონებაზე. ხშირად მშობლების მემკვიდრეობა დედ-მამიშვილებს შორის დაპირისპირების საგანი ხდება და ხანდახან მდგომარეობა ისე მძიმდება, რომ დები, და-ძმა თუ ძმები ერთმანეთს სიცოცხლის ბოლომდე არ ელაპარაკებიან. მააგალითისთვის გეტყვით, რომ შარშან, ჩემს მეგობარს, რომელსაც მამის გარდაცვალების შემდეგ, მამა-პაპისეული სახლ-კაარი ერგო, სასამართლოში 80 წელს გადაცილებულმა მამიდამ უჩივლა, აქაოდა, მეც მაგ სახლში გავიზარდე და წილი მერგებაო. მეგობარმა „დიდსულოვნად“ გამოისყიდა სახლის 50% და მამიდაშვილებს 20 ათასი დოლარი გადაუხადა...

სამართალდამცავებს ახალგაზრდა ქალმა მიაკითხა და უცნაური რამ უთხრა – შეგრძნება მაქვს, რომ მითვალთვალებენ და ძალიან მეშინია, ვინმემ არ მომკლასო. ქალი 30 წლისაც არ იყო, არაფრით და არავისგან გამორჩეული.

„ბავშვთა სახლში გავიზარდე, უპატრონოდ, უყველაფროდ. მერე, როცა სრულწლოვანი გავხდი, ტექნიკუმში ჩავაბარე, ჯერ ტექნიკუმის საერთო საცხოვრებელში მომცეს პატარა ოთახი, მერე, როცა მუშაობა დავიწყე, ერთოთახიანი ბინა გამომიყვეს. ქმარი მე არ მყავს და შვილი, დილით სამსახურში მივდივარ, საღამოს უკან ვბრუნდები და მთელი საღამო ვკითხულობ. ერთი მეგობარი მყავს, რომელთან ერთადაც შაბათ-კვირას, თბილისში ვსეირნობ, რადგან კაფე-რესტორნების ფული არც მე მაქვს და არც იმას. არ მყავს ნათესავი, არავინ მყავს და ამიტომ მეშინია“, – განაცხადა ქალმა.

სანამ სამართალდამცავები იმას გაარკვევდნენ, თუ ვინ იყო ქალი, დეტალურად გამოჰკითხეს, რატომ ეგონა, რომ უთვალთვალებდნენ და რაც მთავარია, რა იყო შიშის საფუძველი ანუ საფუძველი იმისა, რომ მაინცდამაინც მოკვლას უპირებდნენ.

„პირველ რიგში, იმის თქმა მინდა, რომ ავტომობილი, რომლითაც ვფიქრობ, რომ მითვალთვალებენ, ჩემს სამსახურთანაც რამდენჯერმე ვნახე და სახლთანაც. შაბათ-კვირასაც, როცა მეგობართან ერთად ვსეირნობდი, დავინახე, დამყვებოდა. თავიდან ვიფიქრე, მეჩვენება-მეთქი, მაგრამ ასე გავიდა ორი კვირა და ამიტომ, თქვენთან მოვედი. ვის რა ინტერესი უნდა ჰქონდეს ჩემი? სილამაზით არ გამოვირჩევი, არც ბევრი ფული მაქვს, არც დიდი სახლი. გამოდის, ვიღაც ავადმყოფია, რომელმაც ამომიჩემა და ჩემი მოკვლა უნდა“, – განაცხადა ქალმა.

სამართალდამცავებმა მისი სიტყვების გადამოწმება გადაწყვიტეს, თან ისიც გაარკვიეს, რას წარმოადგენდა მომჩივანი. როგორც გაირკვა, ის ერთ-ერთი სკოლის ბიბლიოთეკარი იყო, არაფრით გამორჩეული, არავისთან მეგობრობდა, არც კონფლიქტი ჰქონდა. იჯდა თავის ბიბლიოთეკაში და კითხულობდა. კოლეგები ამბობდნენ, გვეცოდება კიდეც, ძალიან უჭირს, მხოლოდ ხლფასზეა დამოკიდებული, არც ქმარი ჰყავს, არც შეყვარებული და მეგობარ მამაკაცზე საუბარი ხომ, საერთოდ ზედმეტიაო. როცა ძალოვნებმა შესაძლო კონფლიქტი ახსენეს, კოლეგებს გაეცინათ, რა კონფლიქტი, კვირა ისე გავა, გამარჯობის მეტს არაფერს ამბობს და ბიბლიოთეკიდანაც ძალით თუ გამოიყვან, ისე არ გამოდისო. მეტიც, ქალი სადილისთვის სკოლის ბუფეტში არ დადიოდა, სახლიდან მოტანილ ყველსა და პურს ჩუმად ჭამდა და საღამოს შინ მიდიოდა. ამიტომ, სამართალდამცავებმა ქალს მეთვალყურედ ორი ოპერმუშაკი დაუნიშნეს და მათაც, მეორე დღესვე დაადასტურეს, რომ ობიექტს ვიღაც მართლა უთვალთვალებდა. ავტომობილის ნომრის მიხედვით გაირკვა, რომ ის „ვიღაც“ ერთ-ერთი ქარხნის დირექტორის მოადგილე იყო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მისი პირდაპირ დაკავება არ გამოვიდოდა და ამიტომ, დასაკითხად სამსახურში ეწვივნენ.

„ახალგაზრდა კაცი ვარ, ეს გოგო ქუჩაში დავინახე, კი არ მომეწონა, ერთი ნახვით შემიყვარდა, მაგრამ პირდაპირ მისვლას ვერ ვბედავ. რა ვუთხრა, რომ მივიდე, გადავირიე და შენი ცოლად მოყვანა მინდა-მეთქი? ჰოდა, დავდევ უკან, ეგებ, ჩავარდეს ისეთი მომენტი, რომ ჩემი დახმარება დასჭირდეს და ამ დროს, მინდა, ახლოს ვიყო. სამწუხაროდ, ჯერჯერობით, უშედეგოდ დავდევ“, – განაცხადა დირექტორის მოადგილემ და სამართალდამცავები, ცოტა არ იყოს, გაოცდნენ. არაფერი, საერთოდ არაფერი ჰქონდა ქალს ისეთი, ერთი ნახვით რომ შეგყვარებოდა, მაგრამ ხომ გაგიგიათ, კაცია და გუნებაო. ყოველი შემთხვევისთვის, მამაკაცის წარსული და გარემოცვაც გადაამოწმეს და...

„ამ კაცს, ორი წელია, საცოლე ჰყავს, ძალიან ლამაზი გოგონა და მეზობლები კი ამბობენ, ბოლო ორი კვირაა, დაშორდა, ყურადღებას აღარ აქცევსო, მაგრამ გიჟი უნდა იყოს ადამიანი, ის ამაში რომ გაცვალოს. ყველაფერი ეს, ძალიან უცნაურია, ზედმეტად უცნაურიც კი, მაგრამ ვერაფერს შევცვლით. ჰო, კიდევ, ამ კაცს ერთი თვის წინ, გამზრდელი ბიძა მოუკვდა, გავლენიანი კაცი და გარდა იმისა, რომ იქ, სადაც მუშაობს, სწორედ ბიძის გავლენით მოხვდა, მისგან უამრავი რამ დარჩა: ორი ბინა, აგარაკი, ნახატებისა და ძველებური ხანჯლების კოლექცია. მოკლედ, ამისთვის „ისროლა ავრორამ“ და ახლა, სრულიად უცნობ ბიბლიოთეკარს აეკიდა. ალბათ, ბევრმა ფულმა გაგიჟება იცის“, – ეუბნებოდა გამომძიებელს ოპერმუშაკი.

იმ გავლენიანი კაცის სიკვდილი გამომძიებელმაც კი იცოდა, ისიც იცოდა, რომ მის ზღაპრულ ქონებაზე ბევრს წერდნენ და ფიქრობდა, ცოლ-შვილი არ ჰყოლია იმ კაცს და ნეტავ, ვის დარჩება ეს ავლა-დიდებაო. ახლა კი, გაიგო, რომ სიმდიდრეს პატრონი გამოუჩნდა. ასე იყო თუ ისე, გამომძიებელმა ყველაფერი გოგონას უთხრა და აუხსნა, ის კაცი შეყვარებულია, ეგებ, შეხვდე, ბედი გაგეხსნებაო. გოგონამ ძალიან გაიოცა, სად – მე და სად – ის, არ მჯერაო, მაგრამ მეორე დღეს, მამაკაცი სახლში ვარდების თაიგულით რომ მიადგა, დაიჯერა. საქმე თითქოს აღარ უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ სამიოდე დღის შემდეგ, გოგო განყოფილებაში ისევ შეშინებული მივიდა და ერთადერთი სიტყვა თქვა – „მიშველეთ!“

„იმ კაცმა შინ დამპატიჟა, როგორც მითხრა, თავისი ბიძის სახლში, სადაც, თურმე, ჩემი ცოლად მოყვანის შემდეგ უნდა ვიცხოვროთ. ბიბლიოთეკარი ვარ და როცა უცხო ბინაში შევდივარ, პირველი, რასაც ვაკეთებ, წიგნების თაროს ვათვალიერებ. იქაც დავიწყე თვალიერება, ერთ-ერთმა წიგნმა ძალიან დამაინტერესა, ძველი გამოცემა იყო, ავიღე, გადავფურცლე და ფურცლებს შორის, სურათი იდო. სურათს დავაკვირდი და გავოგნდი – იქიდან საკუთარი თავი მიყურებდა. ჰო, ჩემი სურათი იყო, მაგრამ ძველი, ადრე გადაღებული, მე ამდენი წლისაც არ ვარ. არც მახსოვს ასეთი სურათი ოდესმე გადამეღო. ვკითხე, ეს სურათი ვისია-მეთქი და მხრები აიჩეჩა, არ ვიცი, ბიძაჩემის სახლია და როგორც ჩანს, მე და ბიძაჩემს ერთნაირი გემოვნება გვაქვსო. არ მჯერა ასეთი დამთხვევების, მიშველეთ, გთხოვთ, გემუდარებით“, – სამართალდამცავები ქალს ვერ აჩერებდნენ.

გამომძიებელი მაშინვე მითითებულ მისამართზე გავიდა და მამაკაცს სურათის ჩვენება მოსთხოვა, მან კი უდარდელად თქვა, ძველი ფოტო იყო, ნაგავში გადავაგდეო. ეს უკვე საეჭვოდ ჩანდა და გამომძიებელმა ჩხრეკის ორდერის მოპოვება შეძლო. პარალელურად, ოპერმუშაკები გარდაცვლილი ბიძის მეგობრებს ეძებდნენ. ჩხრეკამ შედეგი გამოიღო, სხვადასხვა წიგნში, კიდევ არაერთი სურათი ნახეს და მართლაც, ქალი გოგონას ძალიან, ძალიან ჰგავდა. გარდაცვლილის მეგობრებს სურათი ანახეს და მათ ერთხმად დაადასტურეს, ეს იმ კაცის ერთადერთი სიყვარულია, თუმცა მერე რაღაც აერია, ცოლად მოყვანა ვერ მოახერხა, ქალი ორსულად კი იყო, მაგრამ მშობიარობას გადაჰყვაო და ისიც თქვეს, ბავშვიც გარდაიცვალაო. ადვილი მისახვედრია, რომ სამართალდამცავებს დნმ-ის ანალიზის ჩატარების უფლების მიღება არ გასჭირვებიათ და მალევე დაადგინეს, რომ გოგონა გარდაცვლილი კაცის შვილი იყო. ეჭვმიტანილი მამაკაცი დააკავეს.

„სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, ბიძამ მითხრა, რომ ვიღაც გოგონა დაინახა, რომელიც მის საცოლეს გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა. მერე იმის მოძიება დაიწყო, ვინ იყო გოგო, სად დაიბადა, როდის და გაარკვია, რომ მისი დაბადების დრო, მისი საცოლის მშობიარობას ემთხვეოდა. მერე სატელეფონო ზარს ელოდა, დაზუსტებით უნდოდა სცოდნოდა, მართლა მისი შვილი იყო თუ არა და როცა ეს ამბავი, ლამის 100%-იაანი სიზუსტით დაუდასტურეს, სიხარულისგან გულის შეტევა დაემართა და გარდაიცვალა. არ ვიცოდი, მეგობრებთან თუ ჰქონდა ამ თემაზე საუბარი და მივხვდი, მისი მეგობრები საქმის კურსში თუ იყვნენ, გოგონას აუცილებლად იპოვნიდნენ. ამიტომ, მისი ცოლად მოყვანა გადავწყვიტე, სხვაგვარად, ყველაფერს ვკარგავდი, მაგრამ არც ეს გამოვიდა. რა ვიცოდი, ბიძაჩემს წიგნებში სურათები თუ ჰქონდა დამალული, წიგნებისთვის ხელი არასოდეს მიხლია“, – თქვა კაცმა.

რადგან მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნები არ იყო, მამაკაცი გაუშვეს, გოგონას კი აუხსნეს, რომ მემკვიდრეობაზე სრული უფლება ჰქონდა, თუმცა სასამართლო პროცესი დიდხანს გაგრძელდა და საბოლოოდ, ქონების მსუყე ნაწილი კაცსაც ერგო.

კახეთის პოლიციამ ცოლად შერთვის მიზნით თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტზე ხუთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის ლაგოდეხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1998 წელს დაბადებული ა.მ. თავისუფლების ჯგუფურად, უკანონო აღკვეთისა და სქესობრივი დანაშაულის ბრალდებით დააკავეს, ხოლო 1969 წელს დაბადებული ი.ფ., 1999 წელს დაბადებული ჯ.ი., წარსულში ნასამართლევი, 1996 წელს დაბადებული ს.ა. და 2003 წელს დაბადებული მ.ბ., თავისუფლების ჯგუფურად, უკანონო აღკვეთის ბრალდებით არიან დაკავებულები.

დანაშაულები 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ა.მ.-მ, ცოლად შერთვის მიზნით, 2000 წელს დაბადებულ გ.გ.-ს თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთა და მასზე სექსუალურად იძალადა. თავისუფლების უკანონო აღკვეთაში, ასევე, მონაწილეობდნენ ამჟამად ბრალდებულის სახით დაკავებულები: ი.ფ., ჯ.ი., ს.ა. და მ.ბ.

პოლიციამ, ინტენსიური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, გატაცებული გოგონა სოფელ ყარაჯალაში იპოვა.

მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე და 137-ე მუხლებით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ძებნილი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად გატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა, ტარების ბრალდებით, 1986 წელს დაბადებული ძებნილი, წარსულში ნასამართლევი ნ.მ. დააკავეს.

ბრალდებულმა ნ.მ.-მ, მიმდინარე წლის ივლისში, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით, ერთ-ერთი კომპანიის კურიერს თ.ს.-ს, ორივე ფეხის არეში სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, ნ.მ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით, დაუსწრებლად შეეფარდა პატიმრობა. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ბრალდებული გადაყვანილია პენიტენციურ დაწესებულებაში.

პროკურატურამ დიდი ოდენობით ქონების გამოძალვის ფაქტზე ორ პირს ბრალდება წარუდგინა

დიდი ოდენობით ქონების გამოძალვის ფაქტზე, ორ პირს ბრალდება წარედგინათ. ამის შესახებ ინფორმაციას გენერალური პროკურატურა ავრცელებს.

როგორც უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, ბრალდებულები საზღვარგარეთ მყოფ პირს, მარნეულის მუნიციპალიტეტში, დიდი ოდენობით თანხების გამოძალვაში ეხმარებოდნენ და დაზარალებულებს სიცოცხლის მოსპობისა და ნივთების განადგურების მუქარით, დიდი ოდენობით თანხების გადახდა მოსთხოვეს.

„საქართველოს პროკურატურამ ჯგუფურად ჩადენილი დიდი ოდენობით თანხის გამოძალვაში დახმარების, ასევე, სხვისი ნივთების დაზიანებისა და განადგურების ფაქტებზე, ორ პირს ბრალდება წარუდგინა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები, საზღვარგარეთ მყოფ პირს, მარნეულის მუნიციპალიტეტში, დიდი ოდენობით თანხების გამოძალვაში ეხმარებოდნენ, რა დროსაც, დაზარალებულებს სიცოცხლის მოსპობისა და ნივთების განადგურების მუქარით, დიდი ოდენობით თანხების გადახდა მოსთხოვეს, უარის მიღების შემდეგ კი სხვადასხვა სახის ქონება დაუზიანეს და გაუნადგურეს.

დაკავებულებს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით (გამოძალვაში დახმარება, დაზარალებულის მიმართ ძალადობის გამოყენების და მისი ნივთის განადგურების მუქარა, ჩადენილი ჯგუფურად, დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით), 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით (სხვისი ნივთის განადგურება ჯგუფურად, და ცეცხლის წაკიდებით) წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლომ ორივე ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება დანაშაულთან შემხებლობაში მყოფი სხვა პირების დადგენის მიზნით“, – ნათქვამია განცხადებაში.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა უკანონო თევზჭერის 11 ფაქტი გამოავლინეს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ბრაკონიერობასთან ბრძოლის ფარგლებში, უკანონო თევზჭერის 11 ფაქტი გამოავლინეს.

ამის შესახებ ინფორმაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.

„ქალაქ ფოთში – მდინარე კაპარჭინაზე, მოქალაქეები უკანონოდ, თევზს, მოტორიანი ნავიდან ელექტროშოკური მოწყობილობის, ე.წ „პილიკანის“ გამოყენებით იჭერდნენ. სამართალდამრღვევებმა უკანონოდ მოიპოვეს 27 კგ-მდე „კეფალის“ სახეობის თევზი.

ელექტროშოკურ მოწყობილობებს იყენებდნენ მოქალაქეები ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვიშარში – მდინარე რიონზე და ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ რბონის მიმდებარედ – მდინარე მტკვრის კალაპოტში უკანონო თევზჭერისას.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში – მდინარე კაბალზე კი, სამართალდამრღვევმა, დაახლოებით, 1 კილოგრამი სხვადასხვა სახეობის თევზი აკრძალული საშუალების, ე.წ. „ფაცერის“ გამოყენებით მოიპოვა.

ტყიბულის მუნიციპალიტეტში – მდინარე წყალწითელაზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტში – მდინარე მტკვარზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მდინარეებზე – გუბისწყალსა და რიონზე, მცხეთა-ნარეკვავის მიმდებარედ – მდინარე არაგვზე, თიანეთის მუნიციპალიტეტში – მდინარე იორზე, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა თევზჭერის აკრძალული საშუალებით – ანკესზე გამობმული სახლართი და გასაშლელი ტიპის ბადეებით უკანონო თევზჭერის 7 ფაქტი აღკვეთეს.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის ივლისში, უკანონო თევზჭერის 155 ფაქტია გამოვლენილი, მათ შორის, 64 – სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს. 2024 წლის იანვარ-ივლისში კი, დეპარტამენტის თანამშრომლებმა თევზჭერის წესების დარღვევის 494 ფაქტი აღკვეთეს, მათ შორის, 206 – სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს და მასალები შესაბამის უწყებებში გადაიგზავნა.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ეკიპაჟები ქვეყნის მასშტაბით, 24-საათიან უწყვეტ პატრულირებას ახორციელებენ, რათა დროულად მოხდეს უკანონო ტყითსარგებლობის, ნადირობის, თევზჭერისა და სხვა გარემოსდაცვითი სამართალდარღვევის ფაქტების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა. ამასთან, მყისიერი რეაგირება ტარდება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე – 153 შემოსულ თითოეულ შეტყობინებაზე“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

ლეგიონერებმა დაიწყეს – ხვიჩა დაამტვრიეს, მამარდა ისევ საუკეთესოა, მიქაუტაძემ პენალტი ვერ გაიტანა, ქოჩორამ და ჩაკვეტაძემ იფრინეს



გასულ უქმეებზე, ევროპაში, პრაქტიკულად, ყველა ჩემპიონატმა აიღო სტარტი და ჩვენი ეროვნული ნაკრების წევრებიც საქმეში ჩაერთვნენ. რაღა თქმა უნდა, მათი ასპარეზობა და იმის ნახვა, თუ როგორ ფორმაში არიან ბიჭები სანაკრებო მატჩების წინ, ძალიან საინტერესო გახლდათ. „ნაპოლით“ და ხვიჩა კვარაცხელიათი დავიწყოთ, რადგან ყველაზე მძიმე უქმეები სწორედ მას ჰქონდა.

ნეაპოლელები „ვერონას“ სტუმრობდნენ და იმის გათვალისწინებით, რომ გუნდს ახალი მწვრთნელი და ახალი ამბიციები აქვს, ფავორიტებადაც ითვლებოდნენ. აშკარად გამოჩნდა, რომ ანტონიო კონტემ გუნდის შეტევები მთლიანად ქართველზე ააწყო და კვარაცხელია საწყის 45 წუთში საუკეთესოც იყო, თუმცა... „გამოცხადებული ნადირობა ხვიჩაზე“ – ასე გამოეხმაურნენ იტალიური გაზეთები იმას, რასაც „ვერონას“ მცველები ქართველის მიმართა აკეთებდნენ. ისინი აშკარად უხეშობდნენ და მსაჯმა მხოლოდ ერთ ფეხბურთელს უჩვენა ყვითელი ბარათი, რამაც ისინი გაათამამა და პირველი ტაიმის ბოლო წუთზე, სრულიად უწყინარ სიტუაციაში, მეტოქის ფეხბურთელი კვარას შეგნებულად შეეჯახა და თვალში თითი ატაკა. შეჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ კვარაცხელიამ მატჩის გაგრძელება ვეღარ შეძლო, მისი გუნდი კი 3:0 დამარცხდა.

„გარდა იმისა,რომ მცველმა ხვიჩას თვალი დაუზიანა, მას კუნთი დაეჭიმა და შეჯახების შედეგად, ეჭვი ტვინის მსუბუქ შერყევაზეც გვაქვს“, – განაცხადა ნამატჩევს „ნაპოლის“ ექიმმა.

ურთულესი გამოცდა ჰქონდა გიორგი მამარდაშვილის „ვალენსიას“. „ღამურები“ საკუთარ მოედანზე „ბარსელონას“ მასპინძლობდნენ და მართალია, 1:2 დამარცხდნენ, ქართველი კიპერი ორივე გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო იყო.

„შეხედეთ ფანებს, ისინი 90 წუთის განმავლობაში, გუნდის სახელს კი არ სკანდირებდნენ, არამედ, ორ სიტყვას – გიორგი, დარჩი! არ დავმალავ, მამარდაშვილთან დაკავშირებით, რამდენიმე წინადადება გვაქვს და ახლა ვერ ვიტყვი, შევინარჩუნებთ თუ არა მსოფლიოს საუკეთესო მეკარეს“, – თქვა ნამატჩევს კლუბის სპორტულმა დირექტორმა, მიგელ ანხელ კორონამ.

აბსოლუტურად ყველა გამოცემა აღიარებს, რომ მამარდაშვილის გადაბირება „ლივერპულს“ სურს, მერსისაიდელებს გიორგისთან პირადი კონტრაქტი შეთანხმებული აქვთ და ახლა საუბარი მხოლოდ სატრანსფერო თანხაზე მიდის, მაგრამ იგივე მედია იმასაც აღნიშნავს, რომ საქმეში, შესაძლოა, „მანჩესტერ იუნაიტედიც“ ჩაერთოს. თუ ასე მოხდება, ბრიტანელების აზრით, „წითელ ეშმაკებს“ შესაძლებლობა ექნებათ, როგორც კლუბს, ისე მეკარეს, უკეთესი პირობები შესთავაზონ. მართალია, მანჩესტერელთა კარს ახლა ონანა იცავს, რომელშიც ასევე სოლიდური თანხაა გადახდილი, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობა მისი ასპარეზობით აშკარად უკმაყოფილოა.

ახალ გუნდში დებიუტი ჰქონდა გიორგი მიქაუტაძეს. მისი „ლიონი“ „რენს“ სტუმრობდა და ჟორჟმა მოედანზე 90 წუთიც გაატარა, მაგრამ პირდაპირ ვთქვათ, ეს არ იყო მისი საუკეთესო მატჩი. მასპინძლებმა ორი გოლის გატანა პირველივე ტაიმში მოახერხეს და მეორე ნახევარში სტუმრები ბევრად მოტივირებულები გამოვიდნენ. მათმა მონდომებამ შედეგი გამოიღო და 71-ე წუთზე, „რენის“ კარში 11-მეტრიანიც დაინიშნა. პენალტის ნიშნულთან მიქაუტაძე მივიდა და... მეკარემ აუღო. მატჩის მიწურულს, „რენმა“ კიდევ ერთი გაიტანა და ანგარიშიც გამანადგურებელი გახადა.

სეგუნდა დივიზიონში მოთამაშე „ლევანტე“ პირველ ტურში „სპორტინგს“ სტუმრობდა. გიორგი ქოჩორაშვილის გუნდი დამაჯერებლად გამოიყურებოდა და სწრაფი გოლიც გაიტანა – სტუმრები მე-14 წუთზე დაწინაურდნენ, თუმცა მატჩის გარდამტეხი მომენტი 42-ე წუთზე დადგა, როცა მეტოქის კარიდან, დახლოებით, 30 მეტრში, ჯარიმა დაინიშნა. საჯარიმო ნიშნულთან ქართველი მივიდა და მაშინ, როცა ყველა ჩაწოდებას ელოდა და მეტოქის კიპერმაც სწორედ იმ კუთხისკენ დაიწყო მოძრაობა, სადაც ჩაწოდება უნდა განხორციელებულიყო, ქოჩორაშვილმა პირდაპირ კარში დაარტყა და ულამაზესი გოლიც გამოუვიდა. საბოლოო ჯამში, შეხვედრა „ლევანტეს“ სასარგებლოდ, 2:1 დასრულდა ანუ ქართველის გოლი გამარჯვებისა იყო.

ორი ტურის შემდეგ, ორი მოგებით, ლიდერთა შორის არის ინგლისის ჩემპიონატში მოთამაშე გიორგი ჩაკვეტა-

დასასრული მე-14 გვერდზე

საქართველო-ჩეხეთი მოახლოვდა

დაახლოებით, ორი კვირა დარჩა ერთა ლიგის პირველ მატჩამდე. 7 სექტემბერს, „მიხეილ მესხის“ სახელობის არენაზე, ჩვენი ნაკრები ჩეხეთს უმასპინძლებს. მართალია, ვილი სანიოლს ჯერ ნაკრების შემადგენლობა არ დაუსახელებია, მაგრამ დიდი ალბათობით, სიურპრიზები არ იქნება და ფრანგი სპეციალისტი ეროვნულში იმ შემადგენლობის 99%-ს გამოიძახებს, რომლებიც ევროპის ჩემპიონატზე იყვნენ წარმოდგენილნი.

სხვათა შორის, ჩეხეთი, ევროპაზე, ჯგუფში ჩვენი მეტოქე იყო და ის მატჩი ფრედ, 1:1 დასრულდა. სწორედ მაშინ თქვა მეტოქის თავკაცმა, გაგიმართლათ, თორემ მოგიგებდით და ის, რომ ჩეხეთი საქართველოზე ძლიერია, 7 სექტემბერს, თბილისში დავამტკიცებო. შესაბამისად, შეხვედრა ისედაც პრინციპული იქნება და ამ განცხადების შემდეგ, მოგებას უფრო მეტი ფასი დაედება.

და ერთიც – მატჩზე დასასწრები ყველა ბილეთი, ინტერნეტ-პლატფორმაზე დადებიდან, ერთ საათში გაიყიდა, თუმცა, როგორც კი გაირკვა, რომ ბილეთები აღარ იყო, სოციალურ ქსელში გამოჩნდა განცხადებები, სადაც შეხვედრაზე დასასწრებ ბილეთებს უფრო ძვირად ჰყიდდნენ: 10-ლარიანს – 75 ლარად, 30 ლარიანს – 125 ლარად და 50 ლარინს – 300 ლარად. რაც მთავარია, ავტორები ამბობდნენ, დაახლოებით, 300-300 ბილეთი ჰქონდათ მარაგში და ძალიან მარტივი კითხვა გვაქვს – როცა ინტერნეტ-პლატფორმით, ერთ პიროვნებას მხოლოდ ორი ბილეთის შეძენის უფლება ჰქონდა, საიდან მოხვდა საერთო ჯამში 900 ბილეთი ერთი ადამიანის ხელში?

თურმე, მოგებაც მოსაწყენია

ინგლისური პრემიერლიგის პირველი ტურის ცენტრალური შეხვედრა ლონდონში გაიმართა – „ჩელსიმ“ მოქმედ ჩემპიონს, „მანჩესტერ სიტის“ უმასპინძლა. შეხვედრამ იმედები გაამართლა, მაღალ ტემპში წარიმართა და დაძაბულობა იყო, მაგრამ საბოლოოდ, სტუმრებმა დამაჯერებლად, 2:0 მოიგეს და პირველი სამი ქულა ჩაიწერეს ანგარიშზე. ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რაც მატჩის შემდგომ, მანჩესტერელთა თავკაცმა, ხოსეპ გვარდიოლამ თქვა.

„სეზონის მოგებით დაწყება ყოველთვის სასიამოვნოა. რას ვფიქრობ ახლა? არაფერს, რადგან ამ ეტაპზე, პრემიერლიგის მოგების მოტივაცია საერთოდ არ მაქვს. შესაძლოა, ეს ბევრს გაუკვირდეს და სიმართლე გითხრათ, მეც მიკვირს, თუმცა სიმართლე ესაა და იმედი მაქვს, მოტივაცია ჩემპიონატის დასრულებამდე აუცილებლად მოვა, სხვაგვარად გამიჭირდება“, – განაცხადა გვარდიოლამ, რომელიც „სიტის“ თავკაცად 2016 წელს დაინიშნა და 8 შესაძლებლობიდან, ჩემპიონატის მოგება ექვსჯერ მოახერხა.

ლეგიონერებმა დაიწყეს – ხვიჩა დაამტვრიეს, მამარდა ისევ საუკეთესოა, მიქაუტაძემ პენალტი ვერ გაიტანა, ქორჩორამ და ჩაკვეტაძემ იფრინეს

მე-13 გვერდიდან

ძის „უოტფორდი“. ორივე შეხვედრის მოგებაში, ჩვენებურმა ლომის წილი დაიდო და თუ პირველ ტურში გატანა მოახერხა, ამჯერად საგოლე გადაცემა მიითვალა. თუ „უოტფორდი“ აღებულ ტემპს შეინარჩუნებს, პრემიერლიგაში გადასვლა რთული ნამდვილად არ იქნება. რაც შეეხება ქართველს, ის ორივე შეხვედრაში საუკეთესო გახლდათ და როგორც მწვრთნელი, ისე ადგილობრივი მედია წერს, რომ როცა ჩაკვეტაძე ფორმაშია, მისი შეჩერება უბრალოდ წარმოუდგენელია და ის მოედანზე მეტოქეებს, როგორც პატარა ბავშვებს, ისე უსწორდება.

კარგი მატჩი ჰქონდა ბუდუ ზივზივაძეს. მისი გუნდი ქვეყნის თასზე რეგიონული ლიგის „შპორტფროინდეს“ ესტუმრა და დამაჯერებლად, 5:0 დაამარცხა. ქართველმა ფორვარდმა, რომელმაც მოედანზე 71 წუთი გაატარა, ერთი საგოლე გადაცემა მიითვალა და ერთი გოლიც შეაგდო. ზოგადად, ბუდუ აშკარად კარგ ფორმაშია, გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში, ბომბარდირთა შორისაა და ნაკრებში ნამდვილად კარგ ხასიათზე უნდა ჩამოვიდეს.

და ერთიც – იტალიის სერია A-ს პირველ ტურში, მთავარ სენსაციასთან ახლოს იყო „ტორინო“. ტურინელები „სან სიროზე“ „მილანს“ სტუმრობდნენ და 88-ე წუთამდე 2:0-საც იგებდნენ, თუმცა მასპინძლებმა დარჩენილ დროში ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს. ჰოდა, შეხვედრის 84-ე წუთზე, „ტორინოს“ თავკაცმა, დაცვის გასაძლიერებლად, მოედანზე საბა საზონოვი შეუშვა და იტალიური მედია ამტკიცებს, სტუმრებმა პირველი გოლი სწორედ ქართველის შეცდომის შედეგად გაუშვეს, ალვარო მორატა სწორედ მას გაექცაო. მართალია, საბა მორატას მეურვეობდა, მაგრამ იმას რატომ არავინ ამბობს, რომ იმ კონკრეტული შეტევისას, საბას ზურგს უკან, მილანელთა კიდევ ერთი შემტევი აღმოჩნდა, რომელსაც არავინ მეურვეობდა და საზონოვმაც ყურადღება მასზე გადაიტანა, რის შემდეგაც მორატა გაუსხლტა. საბოლოოდ, ისე გამოვიდა, რომ სწორედ საბას მეურვემ შეაგდო და ის მეორე ფორვარდი აღარავინ ახსენა. არადა, ქართველს გუნდში ისედაც ცოტა სათამაშო დრო აქვს და აქ რომ გამართლებოდა, ეგებ, მწვრთნელისგან უფრო მეტი ნდობა ჰქონოდა.

საფრანგეთის უმაღლეს დივიზიონში დებიუტი ჰქონდა ზურიკო დავითაშვილს. მართალია, მისი „სენტ ეტიენი“ სტუმრად დამარცხდა, მაგრამ ქართველი ფეხბურთელი აშკარად აქტიური იყო და გუნდის ლიდერის ფუნქციებსაც გადასარევად ითავსებდა. ზურიკოსთვის საფრანგეთში თამაში უცხო არ არის და იმედი გვაქვს, მომავალ ტურებში მის გოლებსაც ვიხილავთ.

პატრიოტის აღსარება

აკაკი წერეთელი



ვინ სთქვა, რომ მე პატრიოტი არა ვარ? მიუქარავს!..

ეტყობა, ან სადილობამდის მოთრეულა ჩემთან და ან ნასადილევს მოხეტებულა... უდროოდ უვლია!.. აბა, თქვენი ჭირიმე, სადილობამდის, როცა მუცელი ცარიელია, ვისა სცალიან საპატრიოტოდ და ან ნასადილევს, კუჭდამძიმებულზე, რაღა დროს პატრიოტობაა?! არა...

იმ დროს მობრძანდეს, როდესაც მე, მამა-პაპურად ფეხმორთხმულს, წინ მიფენია ქართული სუფრა, მაისის სასადილო სამკაულებით: ცხელ-ცხელი პურები, ცივი ღვინო, აქა-იქ ახირებულად მიყრილ-მოყრილი მწვანილი, ახალი თევზი, მოთალი, ზედ ტარხუნით თავწახურული, საიდამაც ის შეჩვენებული ძროხის მოსაკითხი ისე გამოიყურება, თითქოს პირს სიცილით ეუბნებოდეს: „გამიღე კარები, კბილები მიჩვენეო“ და იმავ დროს მოშუღლული ტარხუნაც ზევიდან დასჩურჩულებდეს: „სად მიდიხარ? ვერ გაგიშვებ! იქაც ქვეშ უნდა მოგიქციო და თავზე დაგაწვეო! სადაც ჩახვალ, მეც მაშინვე იქა ვარო“ და სხვა.

აი, დრო, როდესაც ჩემს გულში იღვიძებს პატრიოტული გრძნობა და ჩემი ნაციონალური მადა კუჭში იდგამს სამეფო ტახტსა! მაშინ მეც თავი მომწონს ქართველობით!.. განა, შემიძლია შუშხუნა მწვადის ყურება ისე, რომ პირი პატრიოტული ნერწყვით არ მევსებოდეს? როდის გადამიკრავს კახური ღვინო ისე, რომ ჩვენის წინაპრების შესანდობარი არ ყოფილიყოს? ჯერ კიდევ შუა სმაშიაც არა ვარ ხოლმე, რომ ჩემი ქვეყნის მტრები თვალწინ მელანდებიან და მაშინ მეც თავი ვეღარ შემიმაგრებია, გაბრაზებული, ზევით ჭერს ქუდსაც ვკრავ ხოლმე და ძირს სუფრაზე, წითელ ღვინოს ვანთხევ. დიახ!.. ამგვარად, ხშირად აღვძრულვარ, აღვშფოთებულვარ და მაშ, ვისღა შეუძლია სთქვას, რომ მე პატრიოტი არ ვიყო?

არა თუ დღეს, როდესაც დიდი ბობოლა შევქმნილვარ, ადრე, ჭიაობაშიაც, გულით ვმამულიშვილობდი, თუმცა ამის გამოცხადებას კი სიტყვით ვერ ვბედავდი და საქმით ვერ ვახერხებდი. და ან კი რა გამოვიდოდა გამოცხადებით? პატარაობაში რა გასავალი ექნებოდა ჩემს სიტყვებს? და დღეს, დიდკაცობის დროს კი, აღარ შემფერის ამჩატება!.. ახლა რომ პატრიოტულ ალიან-ჩალიანებს გამოვუდგე, არ იტყვიან: ე, რა წვრილმანებს გამოსდგომიაო? დიახ! იტყვიან და შემარცხვენენ!..

არა, არა!..

უდროოდ არა ვარგა, რა!.. მოვუცდი ისევ იმ დროს, როდესაც ეს ორივე, დიახ, საფუძვლიანი და თავის გასამართლებელი მიზეზი თავისთავად მოისპობა და მაშინ გამოვაჩენ ჩემს მამულიშვილობას! მესაყვედურებიან: „თუ შენ პატრიოტი იყო, შენის ქვეყნის მზეთუნახავს არ დააგდებდი და სხვისას არ დაუწყებდი ტრფიალსო“!.. მაგრამ სცდებიან!.. რა იციან, თუ ჩემ გულში რა არის? აქ ანგარიშია და ანგარიშს ჭკვიანი როდის გაქცევია? ჩემის ქვეყნის მზეთუნახავი ღარიბია! თვითონ რა აქვს, რომ მე მარჩინოს? რა ჰმოსია, რომ მე ჩამაცვას? რა შეუძლია, რომ გამაძლიეროს და თვითონ რა სახელგანთქმულია, რომ მე გამომაჩინოს?

და უცხო ქვეყნის მზეთუნახავი კი ამაების ყველაფრის შემძლებელია! აი, რისთვის ვეტრფი მას! და, აი, რად მიყვარს!.. აბა, ამ ბედში ჩააგდეთ ჩემი ქვეყნის მზეთუნახავიც და მაშინ ნახავთ, თუ ვისმე დაგაცადოთ მისი ტრფობა!!! მაშ, უსაფუძვლო ყოფილა საყვედური! დიახ, პატრიოტი ვარ, ვყოფილვარ და ვიქნები!.. ოღონდ, თქვენ კი წინააღმდეგი მიზეზები მომაშორეთ!.. არ შეგიძლიათ? მაშ, რაღას მესაყვედურებით? რაღას მთხოვთ, კოღო-ბუზებო?

რა გამოდის ამ თქვენის ბზუილით, კოღო-ბუზებო? და რას არიგებთ თქვენის იქა-აქ თრევით, ჭიანჭველებო! ეჰ, ვაი იმ დროს, როდესაც თქვენ გაჩენილხართ!.. თქვენ, თქვენის უხეირო საქციელით ჩვენ, ბობოლებს, მხოლოდ პატრიოტულ მადას გვიფუჭებთ!..

ერთი მომიტანეთ ჩანგი, რომ ავაჟღერო და სევდა გავიქარვო.

ბობოლების ბაიათი:

კოღო-ბუზო! ჭიანჭველო!
ქუდმოხდილო, ფეხშიშველო!
შენს თავს რომ შენ ვერ არგიხარ,
როგორ გინდა, სხვებს უშველო?
ეგ ბზუილი შესაზარი
არავისთვის აღარ არი!
ერთი სიო სულ გაგფანტავსთ,
ზღვაში ჩაგყრით ზენაქარი.
აბა, სად გაქვსთ, გვითხარ,
ღონე, რომ დაჰფრინავ თავმომწონე!
გულით გირჩევ: შენცა ჩემებრ,
სდუმენ, ძალას დაემონე!
დაგარიგებ შესაბრალსა,
მით ვასრულებ ჩემსა ვალსა.
დამიჯერე, არ გატყუებ
მიმავალი მომავალსა!
თვარა, ჩემო ჭიანჭველო,
ქუდმოხდილო, ფეხშიშველო!
შენს თავს რომ შენ ვერ არგიხარ,
როგორ გინდა, სხვებს უშველო?!

მაგრამ... ჩუ, ეს რა მესმის: კოღო-ბუზებიც პასუხს მაძლევენ! – ხა! ხა! ხა! აბა, დავუგდოთ ყური! მოვისმინოთ მათი ბზუილიც – კარგს კილოზედაც იბზუვებენ!.. ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ხა!

კოღო-ბუზების პასუხი:

მიმავალო, მშვიდობით!
აწ დრო არის მოგვშორდე,
ძველ დროს გამოეთხოვო,
ახალ დროს გაუსწორდე!
თუ რომ გული წმინდა გაქვს,
თუ რომ არ ჰგრძნობ რაღაც
შიშს მომავალთან, ვინა გთხოვს
ან რჩევას, ან ანგარიშს!
შენ რომ გზა გაგივლია,
ის ჩვენ აღარ გვარგია;
და ის ჩვენთვის ცუდია,
რაც რომ თქვენთვის კარგია!
კოღო ვართ, თქვენ – ბობოლა!..
მაშ, ჩვენ ვინ გაგვატოლა?
ჩვენ ბზუილი შეგვშვენის,
თქვენ – გვერდზე წამოწოლა.
თქვენ სხვა ხართ და ჩვენ სულ სხვა,
არა გვაქვს რა საერთო, მის მეტი,
რომ ჩვენს კვნესას, თქვენგან ცილიც დაერთო!
თქვენი გზა თუ კარგია, ღმერთმა
თქვენ მოგახმაროს და ჩვენ კი
იმავ გზისგან, საწყლები დაგვიფაროს!
ჩვენ, ქუდმოხდილ-ფეხშიშველებს,
არ გვიდრკება გულები,
სანამ თვალწინ გვიდგიან პირველმოციქულები!..
თქვენ კი ფრთხილად იყავით!
მიჰბაძეთ ფარისევლებს,
დაგვქოლეთ და დასცინეთ
გაუსხლეტელს ჩვენს ცრემლებს!..
ზღაპრად თქმულა, რომ დიდ ლომს
კოღო არ შეუშინდა და კიდეც დაამარცხა,
ცხვირში რომ შეუფრინდა!
და ბობოლას ომი კი არვის გაუგონია!..
ის სხვას უქსოვს სამოსელს და მით თავმომწონია!
ჩვენ ბუზები გახლავართ,
თქვენ ბობოლა ბრძანდებით!
მაგრამ რად იგვიანებთ?
რატომ არ წაბრძანდებით?
მიმავალნო, მშვიდობით!
გზა გვიტიეთ მომავალს!
რად სწუხდებით რჩევისთვის?
ჩვენ ვპოებთ ჩვენს გზას და კვალს!..

ბლოკატორი სმარტფონისთვის

სტარტაპმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან „ერთგულების სარტყელი“ შექმნა მათთვის, რომლებსაც არ შეუძლიათ, ტელეფონს მოწყდნენ. ეს არის ჩასადები საკეტით, რომელიც ბლოკავს ეკრანს და მომხმარებელს არ აძლევს საშუალებას, სქროლოს სოციალური ქსელები. გასაღების ჩაბარება მას ვინმე საიმედო ადამიანისთვის მოუწევს. ბლოკატორის ღირებულება 100 დოლარია, რომელიც შეგიძლიათ, გამოიყენოთ ბავშვების გაჯეტებზე, რათა მათ ნაკლები დრო გაატარონ სმარტფონით ხელში. შესაძლოა, ბლოკატორით თავგადადებული მშრომელის ტელეფონი დაბლოკოთ, დღე და ღამე გამუდმებით რომ არ იმუშაონ და ცხოვრების სხვა ასპექტებზეც გადაიტანონ ყურადღება.

ყველაზე ძლიერი ლუდი შექმნეს

შოტლანდიელმა ლუდის მწარმოებლებმა მსოფლიოში ყველაზე მაგარი ლუდი ჩამოასხეს – მათ შოტლანდიური ლუდი ძლიერ სპირტიან სასმელთან გააერთიანეს. ქარვისფერი სასმელი Scottish Beithir Fire აერთიანებს ლუდის ხარშვის უნიკალურ პროცესსა და დისტილაციის თანამედროვე ტექნოლოგიას. ლუდი იმდენად ძლიერია, რომ მისგან ენა დაგიბუჟდებათ. სასმელის თითოეულ ბოთლზე გამაფრთხილებელი ეტიკეტია, რომელიც მომხმარებელს მოწოდებს, ერთ ჯერზე 35 მლ-ზე მეტი არ დალიოს, მასში ალკოჰოლის მაღალი – 75% შემცველობის გამო. ერთი ბოთლი ამ ახალი, ორიგინალური ლუდის ფასი 45.95 გირვანქა სტერლინგია. მსოფლიოში, სიმაგრით მეორე ლუდი Snake Venom-ია, რომელიც 67.5% ალკოჰოლს შეიცავს.

მსოფლიო რეკორდი უძილობაში

19 წლის ბლოგერმა ნორმმა, ავსტრალიიდან, მსოფლიო რეკორდი დაამყარა უძილოდ გატარებული დროის მიხედვით. როგორც ადგილობრივი გამოცემა წერს, ბლოგერს 12 დღე-ღამის განმავლობაში არ ეძინა. მთელი ამ დღეების განმავლობაში, ნორმის შეშფოთებული გამომწერები პოლიციაი რეკავდნენ, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა რომ შეემოწმებინათ. ავსტრალიელმა შეძლო და 264 საათისა და 24 წუთის განმავლობაში, თვალზე რული არ მიიკარა. წინა რეკორდსმენი რენდი გარდნერი ყოფილა, შორეულ 1964 წელს, როცა ის 17 წლის იყო. მან ზედიზედ 11 დღის განმავლობაში არ დაიძინა.

ცუკერბერგმა ცოლის ქანდაკება შეუკვეთა



Facebook-ის დამფუძნებელმა მარკ ცუკერბერგმა საკუთარი მეუღლის, პრისცილა ჩანის ქანდაკება შეუკვეთა. შედეგი 40 წლის მილიარდერმა სოციალურ ქსელში გააზიარა. „ვაბრუნებთ ცოლის ქანდაკების შექმნის რომაულ ტრადიციას“, – დაწერა მარკმა პოსტში. ქანდაკების ავტორი ამერიკელი მხატვარი და მოქანდაკე დანიელ არშამია. მისი ნამუშევარი პრისცილას მწვანე ფიგურას წარმოადგენს, ვერცხლისფერ მოსასხამში, რომელიც ჰაერში ფრთებივით გაშლილა. ინტერნეტ-მომხმარებლებში ქანდაკებამ დიდი მოწონება დაიმსახურა, ზოგმა ის თავისუფლების ქანდაკებასაც კი შეადარა. ცუკერბერგის 39 წლის მეუღლე აღფრთოვანებულია ქმრის საჩუქრით: „გულგრილად გვერდს ვერ ჩამივლით“, – დაწერა პრისცილამ საკუთარ „სთორიზე“.

ადამიანებს დაძინებაში ეხმარებიან

ჩინეთში სულ უფრო მეტად პოპულარული ხდება ახალი პროფესია – ეგრეთ წოდებული, სლიფმეიკერები. ისინი ადამიანებს დაძინებაში ეხმარებიან, დამამშვიდებელი საუბრებით და სხვადასხვა ისტორიების მოყოლით. „სლიფმეიკერები“, ძირითადად, ახალგაზრდებს ეხმარებიან, რომელთაც უძილობა აწუხებთ სამსახურში დიდი დატვირთვის, სტრესისა და სხვა ცხოვრებისული სიძნელეების გამო. ცნობილია, რომ ამ ახალი სერვისით, გამოცდილ პროფესიონალს, საათში 260 იუანის (დაახლოებით, 37 დოლარი) გამომუშავება შეუძლია. ამასთან, მათ შეუძლიათ იმუშაონ, როგორც ონლაინ, ასევე – ოფლაინშიც. სეანსი იქამდე გრძელდება, ვიდრე კლიენტი არ დაიძინებს.

ღვინო უფრო სასარგებლო იქნება

ამერიკელმა მეცნიერებმა, ილინოისის უნივერსიტეტიდან, ახალი საფუარი შექმნეს, რომელიც ღვინოს უფრო სასარგებლოს ხდის და ამცირებს მასში ტოქსიკური გვერდითი პროდუქტების რაოდენობას, რაც დალევიდან მეორე დილას თავის ტკივილს იწვევს. ფერმენტირებული პროდუქტები, როგორიც ლუდი, ღვინო და პურია, საფუარის პოლიპლოიდური შტამებისგან კეთდება. ეს ნიშნავს, რომ მათ გენომში გენების რამდენიმე ასლია. ადრე ძალიან ძნელი იყო ასეთ საფუართან მუშაობა, რადგან ერთი გენის შეცვლისას, მისი ასლი „შეცდომას“ ასწორებდა და თავდაპირველ მდგომარეობას უბრუნებდა. მეცნიერებმა კი სპეციალური „გენომური დანა“ შექმნეს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია, აკურატულად მოიშორონ თავიდან გამოუსადეგარი ასლები და მხოლოდ ერთი სამიზნე გენი დატოვონ. მკვლევარებმა საფუარის მოდიფიცირება შეძლეს, რომელიც ღვინისა და ლუდის წარმოებაში გამოიყენება. სწავლულების თქმით, ახალი მეთოდის წყალობით, შესაძლოა, ღვინოში რესვერატროლის რაოდენობა ათჯერ და მეტჯერაც კი გაზარდონ და მისი სამკურნალო თვისებები გააათმაგონ.

თოლიებისგან „დაზღვევას“ სთავაზობენ

შოტლანდიაში, სენტ-ენდრიუსში მდებარე ერთ-ერთი სასადილო თავის კლიენტებს თოლიებისგან „დაზღვევას“ სთავაზობს. საქმე ის არის, რომ ფრინველები ბოლო დროს საკმაოდ ხშირად ატერორებენ დამსვენებლებს. დაწესებულებამაც გადაწყვიტა, კლიენტების ხშირი საჩივრების გამო, ასეთი სერვისი აემოქმედებინა. სასადილო, სადაც გრილზე შემწვარ ყველიან სენდვიჩებს ჰყიდიან, მომხმარებელს დაზღვევას ერთ გირვანქა სტერლინგად სთავაზობს. ასე რომ, თუ „თავხედი“ თოლია კლიენტს საჭმელს მოჰპარავს, მეორე სენდვიჩს ის უფასოდ მიიღებს.

სუნამო მაიონეზის სურნელით

ახლა უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველაფერი ვნახეთ! მას შემდეგ, რაც ჩინელებმა საახალწლოდ ლიმიტირებული ყავა შემოგვთავაზეს ღორის ხორცით, გვეგონა, ველარაფერი გაგვაკვირვებდა. თუმცა, იაპონელებმა გადაწყვიტეს ეჩვენებინათ, როგორ იგრილებენ თავს მწვანე ხახვიანი სასმელით. ახლა კი, ახალი „შედევრით“ გაგვაოცეს, მაიონეზის მწარმოებელი კომპანია Hellmann’s-თან ერთად – მათ გამოუშვეს არომატი მაიონეზისა და ოხრახუშის სურნელით. „შედევრის“ ღირებულება, სულ რაღაც, 8 დოლარია.

ასაკოვნებს სიბრმავისგან ლინზები დაიცავს

ამერიკელმა მკვლევარებმა, პერდუს უნივერსიტეტიდან, კონტაქტური ლინზები შექმნეს, რომელიც გლაუკომას ადრეულ პერიოდში გამოავლენს. აღსანიშნავია, რომ სწორედ გალუკომაა ხანდაზმულებში სიბრმავის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი. ადრეულ სტადიაზე, თვალის ეს დაავადება უსიმპტომოდ მიმდინარეობს, ის სწრაფად ვითარდება და შესაძლოა, ადამიანმა მხედველობა დაკარგოს. დღეისთვის, ეს დიაგნოზით 80 მილიონზე მეტი ადამიანს აქვს და მისი თავიდან აცილების ერთადერთი გზა თვალის შიდა წნევის კონტროლია. ამ კონტროლს სპეციალური ლინზების მეშვეობით ახორციელებენ, რომელიც აღჭურვილია მიკროსქემით, რაც ლინზის სისქისა და სიხისტის მატებას იწვევს და დისკომფორტს უქმნის პაციენტებს. ამერიკელმა სპეციალისტებმა კი რბილი კონტაქტური ლინზები შექმნეს, რომელიც მეტად მოსახერხებელია, არ იწვევს დისკომფორტს და შესაფერისია თვალის შიდა წნევის 24-საათიანი კონტროლისთვის, თუნდაც სახლში, ძილის დროსაც კი. სწავლულები უკვე თანამშრომლობენ კერძო კომპანიასთან და ახალი ლინზები. შესაძლოა, სულ მალე გახდეს ხელმისაწვდომი ექიმებისა და პაციენტებისთვის.

ქალაქები საუკეთესო საჭმელებით

პორტალმა – Conde Nast Traveller, გამოკითხვების შედეგად, მსოფლიოს ქალაქების რეიტინგი შეადგინა, რომლებიც საუკეთესო საჭმელებით გამოირჩევიან. სიის სათავეში ესპანური სან-სებასტიანი მოექცა, მეორე ადგილზე ისრაელის დედაქალაქი თელ-ავივია. ტოპ-ხუთეულში მოხვდნენ ნეაპოლი, მეხიკო და მალაგა. რეიტინგის ლიდერთა ათეულში არიან, ასევე, კვებეკი, მელბურნი, ვიქტორია, რომი და სეული.

თეთრი ზვიგენის მომზადებისთვის დააჯარიმეს

ჩინელი ფუდ-ბლოგერი გოგონა, ცზინ მოპუმოუ 18 500 დოლარით დააჯარიმეს, დიდი თეთრი ზვიგენის არაკანონიერი ყიდვისა და მისი საკვებად მომზადების გამო. ბლოგერმა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა ვიდეო, როგორ ამზადებს ის ამ თევზს, რის შემდეგაც, ამ ფაქტით სამართალდამცავი ორგანოები დაინტერესდნენ. საქმე ის არის, რომ ჩინეთის კანონების მიხედვით, თეთრი ზვიგენის ფლობა და, მით უმეტეს, მისი ჭამ აკრძალულია. ეს მტაცებელი თევზი დაცულია კანონით, რომლის თანახმადაც, კანონდამრღვევებს 10 წლამდე პატიმრობაც კი შეიძლება დაემუქროთ.

თირკმლის უჯრედების აღდგენა შეძლეს

მედიკოსებმა სინგაპურიდან და გერმანიიდან, პირველად მსოფლიოში, შეძლეს თირკმლის უჯრედების აღდგენა, რომელიც ქრონიკული დაავადებით იყო დაზიანებული. ამაში მათ ერთ-ერთი იმუნომარეგულირებელი ცილის დაბლოკვა დაეხმარა. სწავლულები ამბობენ, რომ ეს აღმოჩენა მათ თირკმელებით დაავადებული პაციენტების მკურნალობის მეთოდების დახვეწაში დაეხმარებათ. მკვლევარებმა გაარკვიეს, რომ ცილა ინტერლეიკინი-11 არა მხოლოდ იწვევს ორგანოებზე ნაწიბურების წარმოქმნას, არამედ, მოლეკულური პროცესების მთელ ჯაჭვს იწყებს, რასაც ანთებამდე, ფიბროზამდე და თირკმელების მუშაობის დარღვევამდე მივყავართ. აღმოჩნდა, რომ ამ პროცესის დაბლოკვა ცილის ანტისხეულით შეიძლება. როცა ის შეჰყავთ ორგანიზმში, უჯრედები აღდგენას იწყებენ და ანთებაც ქრება. შედეგად, თირკმელებიც კვლავ ჯანმრთელდება.

დაწუნებული ბოსტნეულით ვაჭრობენ

საფრანგეთში, ქალაქ ტულუზაში, იმ ხილისა და ბოსტნეულის სახლში მიტანის სერვისი ამოქმედდა, რომელიც არ ხვდება მაღაზიების დახლებზე, მისი არაესთეტიკური შეხედულების გამო. ეს არასწორი ფორმის, ან არაიდეალური ფერის წვრილი პროდუქტია. ფრანგები ამ გზით ცდილობენ შეამცირონ საკვები ნარჩენების მოცულობა. სტატისტიკური მონაცემებით, ქვეყანაში საჭმლის, დაახლოებით, 20% იყრება. კომპანია BeneBono ადგილობრივი ფერმერებისგან ყიდულობს პროდუქტს, რომელიოც მანამდე, უბრალოდ, იყრებოდა, მერე კი მათ „ლამაზ“ ხილ-ბოსტნეულზე 40%-ით ნაკლებ ფასად ჰყიდის. ფირმა მაინც მოგებაშია, რადგან საკმაოდ იაფად ყიდულობს პროდუქტს. სერვისის ამოქმედებიდან ერთ თვეში, მათ უკვე საკმაოდ ბევრი კლიენტი ჰყავდათ.

ღამით მომუშავეებს სიმსუქნე ემუქრებათ

უფრო მეტად, სიმსუქნისკენ მიდრეკილება იმ ადამიანებს ახსიათებთ, რომლებიც იძულებულნი არიან, ღამით იმუშაონ, ან ხშირად იმგზავრონ ქვეყნებში, სხვადასხვა სასაათო სარტყელით. ასეთ დასკვნებს პორტუგალიელი სწავლულები აკეთებენ. სპეციალისტების თქმით, უძილობამ, ან ძილის ჩვევების ცვლამ, შესაძლოა, სერიოზული ნეგატიური გავლენა მოახდინოს ადამიანის ჯანმრთელობაზე. ეგრეთ წოდებული, ცირკადული რიტმები ინფორმაციას აწვდიან უჯრედებს, დღე-ღამის რა დროა და ამით ეხმარებიან ორგანოებსა და სასიცოცხლო სისტემებს ივარაუდონ, ჭამის დროა, თუ ძილის. ამასთან, თანდაყოლილი ლიმფური უჯრედები განსაკუთრებით არიან დამოკიდებულნი სასაათო რიტმზე. ამ რიტმის ხშირი დარღვევა კი იწვევს ნაწლავების ანთებას, ნაწლავური ბარიერის რღვევას და ცხიმდაგროვებების ზრდას.

სოციალური კავშირები ჯანმრთელობის საწინდარია

სწავლულებმა კენტის უნივერსიტეტიდან დაადგინეს, რომ მტკიცე სოაციალურ კავშირს ადამიანის ფიზიკური ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლია. მათი კვლევის შედეგები ერთ-ერთ სამედიცინო ჟურნალში გამოქვეყნდა. სპეციალისტებმა 122 ქვეყნის 13 ათასზე მეტი მცხოვრების მონაცემები გააანალიზეს, რომელიც გასული სამი წლის განმავლობაში შეგროვდა. მკვლევარებმა შეაფასეს ადამიანების სოციალური კავშირები ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან. აღმოჩნდა, რომ ადამიანები, რომეთაც ძლიერი ოჯახური კავშირები ჰქონდათ, უფრო ხშირად იბანდნენ ხელებს, ინარჩუნებდნენ დისტანციას და ატარებდნენ ნიღბებს, პანდემიის დროს. კვლევებით, ასევე, დადგინდა, რომ მჭიდრო კავშირები უკეთეს ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან ასოცირდება. სწავლულები ვარაუდობენ, რომ ჯანდაცვის სისტემებს შეუძლიათ, შეამცირონ მედიკამენტური მკურნალობის ხარჯები, ადამიანებისთვის სოციალური კავშირების გაძლიერების დანიშვნით.

შავ კვერცხებს ჰყიდიან

ვულკანური ველი ოვაკუდანი იაპონიაში, სადაც უამრავი ცხელი, გოგირდიანი წყარო და გეიზერია, არც ისე სტუმართმოყვარე ადგილია დედამიწაზე. თუმცა, აქ მაინც ათასობით ტურისტი ჩამოდის ადგილობრივი დელიკატესის – შავი კვერცხების დასაგემოვნებლად. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა აღმოაჩინეს, რომ თუ კვერცხს გოგირდის ცხელ წყაროში მოხარშავდნენ, მისი ნაჭუჭი ნახშირივით შავი ხდებოდა, ცილასა და გულს კი გოგირიდის არომატი და სასიამოვნო გემო ჰქონდა. იაპონელებს მიაჩნიათ, რომ ახლად მოხარშული შავი კვერცხი ძალიან სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის, მაგრამ ის მაშინვე უნდა მიირთვათ. შავი კვერცხების ერთი შეფუთვა – 5 ცალი, ადგილზე 500 იენა (დაახლოებით, 4 დოლარი) ღირს.

ბროკოლი ანტიბიოტიკებს სჯობს

სწავლულებმა ისრაელიდან აღმოაჩინეს, რომ ბროკოლში, ყვავილოვან კომბოსტოსა და სხვა ბოსტნეულში არსებული დიინდოლილმეტანი (DIM) ჭრილობებს ანტიბიოტიკზე ორჯერ უფრო სწრაფად ახორცებს. ამ ნივთიერებაზე დამზადებული საცხი ღორებზე გატესტეს. აღმოჩნდა, რომ ის ხელს უშლის ბაქტერიების სიცოცხლისუნარიანობას. ამის წყალობით, ჭრილობა ხუთ დღეში ხორცდება. ანტიბიოტიკების შეცველი პრეპარატებით მკურნალობის პროცესს კი ათი დღე დასჭირდა. სპეცალისტები ახლა სრულყოფილი საცხის შექმნაზე მუშაობენ, რომელსაც ადამიანებზე გამოიყენებენ. თუკი კვლევები წარმატებული აღმოჩნდება, ის ანტიბიოტიკებს ჩაანაცვლებს.

ჭარხალი ტვინს აჯანსაღებს

ბრიტანელმა სწავლულებმა, ექსეტერის უნივერსიტეტიდან, ჯანმრთელობის სასარგებლო კიდევ ერთი პროდუქტი გამოიკვლიეს. ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ თუ ადამიანი რეგულარულად მიირთმევს ჭარხალს, აქტიურდება პირის ღრუს ბაქტერიების მოქმედება, რაც დადებით გავლენას ახდენს სისხლძარღვებისა და ტვინის სიჯანსაღეზე. ეს კი ხელს უწყობს ადამიანის ორგანიზმის ჯანმრთელად დაბერებას. ჭარხალი მდიდარია უჯრედისით, რაც იწვევს შაქრის მალევე შეწოვას. ასევე, ეს პროდუქტი შეიცავს ფოლიუმის მჟავას, „ცე“-ვიტამინს, კალიუმსა და ფოსფორს, „ბე“-ჯგუფის ვიტამინებს, მინერალებს, რკინასა და იოდს. ჭარხალი მდიდარია ანტიოქსიდანტებითაც, მისი რეგულარული მოხმარება ხელს უწყობს თმის, კანისა და ფრჩხილების სიჯანსაღეს. უჯრედისის დიდი შემცველობის გამო კი, ჭარხალი უებარი წამალია შეკრულობის დროს.

ყურსასმენები აღარ დაგვჭირდება

ისრაელის ტექნოლოგიურმა კომპანიამ Noveto, მაგიდის დინამიკი წარადგინა, რომელიც ხმის ტრანსლაციას უშუალოდ მომხმარებელზე ახდენს, ყურსასმენების გამოყენების გარეშე. SoundBeamer 1.0 განსაზღვრავს ადამიანის მდებარეობას და ადგენს მისი ყურის მიმართულებებს, შემდეგ კი მომხმარებელს ხმოვან ტალღებს უგზავნის და მისი თავის გარშემო, პერსონალურ „ხმოვან ბუშტს“ ქმნის. მათ, რომლებმაც უკვე გამოსცადეს მოწყობილობა, ამბობენ, რომ ხმების ამგვარი მოსმენა უჩვეულო შეგრძნებებს ტოვებს. თითქოს, მუსიკა ისმის ყურების შიგნით, ასევე, მათ წინ, უკან და ზემოთ. ახალი ტექნოლოგია საშუალებას იძლევა, მუსიკასა და სხვა ნებისმიერ აუდიოჩანაწერს ყურსასმენის გარეშე უსმინოთ და ამით გარშემომყოფები არ შეაწუხოთ.

ნაკლები კალორია გვიან აბერებს?

კოლუმბიის უნივერსიტეტის სწავლულებმა დაადგინეს, რომ კალორიების შემცირება დაბერების ტემპს ანელებს ჯანმრთელ მოზრდილებში. ადრე ჩატარებულმა მრავალრიცხოვანმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ კალორიების შეზღუდვა ანელებს დაბერების ტემპს მწერებში, თაგვებსა და სხვა ცხოველებში. ახალ კვლევებში 220 ჯანმრთელი ქალი და მამაკაცი მონაწილეობდა. ისინი გადანაწილდნენ საკონტროლო და ექსპერიმენტულ ჯგუფებში. მეორე ჯგუფში მყოფები, პირველთან შედარებით, 25%-ით ნაკლებ კალორიას იღებდნენ. ორწლიანი კვლევების შემდეგ დადგინდა, რომ კალორიების შეზღუდვამ, ექსპრიმენტში მონაწილეებში, დაბერების ტემპი 2-3%ით შეანელა. ეს შენელება დაკავშირებულია სიკვდილიანობის რისკის 10-15%-ით შემცირებასთან, ასევე, გულის დაავადებების, ინსულტის, დემენციის რისკის შემცირებასთან. ექსპერიმენტის მონაწილეები ამჟამადაც მეთვალყურეობის ქვეშ არიან.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.